მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N26 (9206) 20 სექტემბერი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

ღვთისმშობლის შობას გილოცავთ!

2016-2017 სასწავლო წელი დაიწყო 5

ცრემლიანი სასოებრივი ოჯახების ყოფისადმი წევრებისთვის

5

სნავლა ქრისტიანული ჯალენდრით

2 ტრენინგი რეზიდენციალური მეღვინეების დაგმობაზე

6

ბაბა-ბაღები პატარების ჭრიამულმა ისევ აახმიანა

სოფლის მერს ერთადერთი პირველყოფილი მიუჯდა

6

9 ასეთი ინტერვიუ გჭირდებოდათ თქვენ?

მორიგი წარმატება

11

ჩვენი მუნიციპალიტეტი დასუფთავების აქციას შეუერთდა

7

"სალოცავი წელიწადი და ჯვარცმა ჯარცმაში"

ტრენინგი ჟურნალისტებმა საარჩევნო საკითხებზე

17 სექტემბერს, იმერეთის რეგიონის ჟურნალისტებმა საარჩევნო საკითხებზე ტრენინგები გაიარეს ქუთაისში. მათ შორის სამტრედიელი ჟურნალისტებიც იმყოფებოდნენ. სწავლება სამდღიანია და მთელ საქართველოს მოიცავს.

სწავლების ძირითად თემებს საარჩევნო პროცესში მედიის როლი და საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების მიმოხილვა წარმოადგინა.

მედიის წარმომადგენელთა უფლებრივი მდგომარეობა, კენჭისყრის დღის პროცედურები, შშმ ამომრჩევლების ჩართულობის ხელშეწყობის პოლიტიკა, ფოტოვიდეო გადაღების რეგულაციები, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, არჩევნების გაშუქების ძირითადი სქემები და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება _ საკითხები, რომლებსაც დეტალურად გაეცნენ ჟურნალისტები. პარალელურად გაიმართა დისკუსია.

ტრენინგს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სწავლების ცენტრის საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES), საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციასთან და რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით ახორციელებს.

ქეთევან ჭელიძე

ტრენინგი საარჩევნო უბნების კომისიის წევრებისთვის

ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ცესკოს სწავლების ცენტრის ორგანიზებით ამ დღეებში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სრული შემადგენლობისთვის ტრენინგი ტარდება, რომლის ფარგლებში კომისიის წევრები მიიღებენ ცალკეულ ინფორმაციას: საქართველოს პარლამენტის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესზე, საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაზე წინასაარჩევნო პერიოდში, საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებაზე, კენჭისყრის შენობის მოწყობასა და საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობაზე უშუალოდ კენჭისყრის დღეს.

ამ მიზნით სამტრედიაში 10 სექტემბერს დაიწყო და 20 სექტემბრამდე გაგრძელდა სწავლების მეორე ეტაპი.

ყოველი ტრენინგის ბოლოს მონაწილეებს დაურიგდა კომისიის წევრთა სახელმძღვანელო, რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი აბსოლუტურად ყველა პროცედურა, რაც არის დაკავშირებული საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობასთან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სწავლებას უძღვებოდნენ ტრენერები, სოფიო დარჯანია და გიორგი ლაკვეხელიანი.

მოგვიანებით იგეგმება სწავლების III და IV ეტაპი. III ეტაპი _ 22-დან 26 სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება, ხოლო IV ეტაპი 30 სექტემბერს დაიწყება და 4 ოქტომბერს დასრულდება.

ნინო ანანიაშვილი

ყველაზე ყველა სამედიცინო ჩანაწერი ელექტრონულ ფორმატზე

უკლებლივ ყველა სამედიცინო ჩანაწერი, ეტაპობრივად ელექტრონულ ფორმატზე გადავა. აღნიშნული პროექტის პირველი ეტაპი, ელექტრონული რეცეპტების დანერგვაა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ პრესკონფერენცია გამართა. მისი ინფორმაციით, ელექტრონული რეცეპტების სისტემის ტესტირება რამდენიმე დღის წინ დაიწყო და ამ ეტაპზე პროექტში ჩართულია 30-მდე აფთიაქი. ელექტრონული რეცეპტი ეტაპობრივად გავრცელდება საქართველოს ყველა სამკურნალო და სააფთიაქო დაწესებულებებში.

"რეცეპტი გამოიწერება ელექტრონულად, აღარ იქნება საჭირო ფურცელზე დატანა. ქსელში ჩართულ აფთიაქებს ჩანაწერზე წვდომა მაშინვე ექნებათ. პაციენტი, როდესაც ის აფთიაქში მივა, აღარ იქნება აუცილებელი, რომ მან რეცეპტი ხელით ატაროს. იგი აფთიაქის წარმომადგენელს ეტყვის გვარს, სახელს, პირად ნომერს და აფთიაქს სრული წვდომა ექნება მის მონაცემებთან". _ განმარტა დავით სერგეენკომ.

ჯანდაცვის მინისტრმა ინიციატივის უპირატესობებზეც ისაუბრა. მისივე თქმით, ელექტრონული რეცეპტის სისტემა არის კომფორტული და ოპერატიული. ამასთან, განულდება ყბადაღებული თემა ექიმის გაუგებარი ხელწერის შესახებ, ასევე მედიკამენტის შერჩევასა და დოზირებაში გამოირიცხება შეცდომა და დაინერგება ხარისხის კონტროლის უმძლავრესი ინსტრუმენტი.

დავით სერგეენკოს ინფორმაციით, პაციენტის ნებართვის გარეშე მის მონაცემებს ვერავინ ნახავს. მისივე თქმით, ამ ეტაპზე სისტემაში ჩართვა ნებაყოფლობითია, თუმცა, სავარაუდოდ, შემოდგომაზე გამოცხადდება კონკრეტული ვადა, რის შემდეგაც პროგრამაში ჩართვა სავალდებულო იქნება. ჯანდაცვის მინისტრის გამნარტებით, ეტაპობრივად შემდგომი ნაბიჯები სამედიცინო ისტორიის და სრული კვლევების ელექტრონულ ფორმატზე გადასვლა იქნება.

ჯონყაფრსის "მე და არჩევნები" მეორე ტურში მე-9 სკოლა გადავიდა

არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატიის ლაბორატორია" (ხელმძღვანელი ქეთევან ბოჯგუა) საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით და პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით საქართველოს საჯარო სკოლებში ახორციელებს პროექტს "მე და არჩევნები". ეს ახალგაზრდული პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს სკოლებში არჩევნების თემაზე კონკურსის ჩატარებას.

11 ივლისიდან 2 ოქტომბრამდე კონკურსი ქვეყნის მასშტაბით 3 ეტაპად ტარდება. თითოეულმა სკოლამ წარადგინა 3 წევრიანი გუნდი მე-9-მე-12 კლასებისგან დაკომპლექტებული. გუნდის ხელმძღვანელი რომელიმე მასწავლებელია.

კონკურსანტებმა, კონკურსის პირობების თანახმად, წარმოადგინეს 1-2 წუთიანი ვიდეორგოლი, რომელიც ვიდეოსაიტ "Youtube"-ზე ატვირთეს, სადაც ახსნილია, თუ რატომაა მნიშვნელოვანი თითოეული მოქალაქის ხმა არჩევნებზე. ყურადღება ექცევა როგორც რგოლის შინაარს, ისე მის კრეატიულობას.

იმერეთის რეგიონიდან მეორე ტურში გადასულ გუნდებს შორის მოხვდა სამტრედიის მე-9 საჯარო სკოლის (დირექტორი ლალი ჭანტურია) გუნდი "Cambiatio". გუნდში სკოლის მეთორმეტეკლასელები თეა მიქელაძე და გალაქტიონ ფახურიძე და მე-10 კლასელი ვიტალი შენგელია არიან. მას სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი ქეთევან ბაღდავაძე ხელმძღვანელობს. ქალბატონმა ქეთევანმა პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა.

ქეთევან ბაღდავაძე: "მეორე ტურში კონკურენტებს მოეთხოვებათ, საკუთარ რეგიონში საარჩევნო ხმისა და არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ჩაატარონ საინფორმაციო კამპანია. 26 სექტემბერს პროექტის ფინალისტები დასახელდებიან. პროექტი აბსოლუტურად აპოლიტიკურია. ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ მონაწილე მოსწავლეებზეც: სამივენი არიან ძალიან აქტიურები, შრომისმოყვარენი, ინიციატივიანები. ამჯერად ერთი კონკურსანტი, თეა მიქელაძე ჩეხეთშია, მან გაიმარჯვა თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწყობილ კონკურსში რომელიც ნატოს თემას ეხებოდა, ანალოგიურ კონკურსში გამარჯვების გამო გასულ წელს ის ბრიუსელში იმყოფებოდა. გალაკტიონიც ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკში იმყოფებოდა, სადაც სკოლამ გაუშვა იქ, როგორც საუკეთესო მოსწავლე. ვიტალი შენგელია, ერთი წელია, რაც სკოლა "ცოდნიდან" გადმოვიდა და ასევე წარმატებული მოსწავლეა". ჩვენ მუშაობას ვაგრძელებთ. ვნახოთ, რას იზამს ჩვენი გუნდი".

ნათია ნაცვლიშვილი

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში "სამტრედიის მაცნე" იხელმძღვანელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლისა და 2015 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 2 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი. მისი ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

მაჟორიტარობის კანდიდატები

ნინო ნანიტაშვილი

უფასო პოლიტიკური რეკლამა

პაატა მანჯგალაძე

მერაბ ჯანელიძე



ზურაბ კვანტალიანი

შორენა ხარჩილავა

გიორგი ჯიმშელეიშვილი

დიმიტრი სულაქველიძე

ფატი მანჯგალაძე

გია მიქელაძე

12 სექტემბრის მონაცემებით 55-ე სამტრედიის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 8 დარეგისტრირებული მაჟორიტარი კანდიდატია.

ბოლო მონაცემებით 2016 წლის საქართველოს პარლამენტის წინასაარჩევნო მარათონში ჩართულები არიან: საარჩევნო ბლოკი "პაატა ბურჭულაძე _ სახელმწიფო ხალხისთვის", პირველ ნომრად დარეგისტრირებული პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატით _ პაატა მანჯგალაძე.

საარჩევნო ბლოკმა "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" სამტრედიაში კანდიდატად მერაბ ჯანელიძე წარადგინა.

პარტია "თამაზ მეჭიაური _ ერთიანი საქართველოსთვის" საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის მანდატისთვის 7 ნომრით სამტრედიიდან ზურაბ კვანტალიანი იბრძოლებს.

შემდეგი იქნება საარჩევნო ბლოკი "დავით თარხან-მოურავი _ ირმა ინაშვილი" საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია. კანდიდატის, შორენა ხარჩილავას ნომერია 8.

"შალვა ნათელაშვილი _ საქართველოს ლეიბორისტულმა პარტიამ" ცესკოში საკუთარ კანდიდატად დაარეგისტრირა გიორგი ჯიმშელეიშვილი _ საარჩევნო ნომერი 10.

"ეროვნული ფორუმი" _ დიმიტრი სულაქველიძე, კანდიდატის ნომერია 26.

"ირაკლი ალასანია _ თავისუფალი დემოკრატების" მიერ წარდგენილი კანდიდატია ფატი მანჯგალაძე. ნომრით 27.

"ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გახლავთ გრიგოლ მიქელაძე.

ჩვენი მუნიციპალიტეტი დასუფთავების აქციას შეუერთდა

ნათია ნაცვლიშვილი

"დავასუფთავოთ მსოფლიო, დავასუფთავოთ საქართველო" _ ამ სახელწოდებით აქციას სამტრედიის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. ლოკაციები იმთავითვე გაინაწილეს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურებმა, საკრებულომ, შპს-ებმა და აიპ-ებმა, ხელთათმანებიც მოირგეს საჯარო მოხელეებმა (და არა მარტო მათ) და გრანდიოზული დასუფთავების აქციაც მოეწყო.

"სამტრედიის მაცნესათვის" პატივი იყო ლაშა თევზაძის ქუჩაზე, აგვისტოს ომში დაღუპული ლაშა თევზაძის სახელობის სკვერის დასუფთავება. აქ ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, სპეციალისტები და ჩვენი კოლეგები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო ცენტრიდან. სკვერის შემდეგ ლაშა თევზაძის ქუჩაზე გადმოვინაცვლეთ, სადაც ქუჩის მიმდებარე ტერიტორია დავასუფთავეთ. სამზადისი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ 10 საათზე დაიწყო. კომენტარი ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილს:

"ყველა უნდა ზრუნავდეს ქალაქის სისუფთავეზე. დასუფთავების აქცია ყოველ დღეს უნდა იმართებოდეს. განა მარტო სამსახურები, თითოეული მოქალაქე უნდა იყოს ამის მოწადინე. ბაზრის ტერიტორიაზე ვცხოვრობ და გული მტკივა, რომ ადამიანები ასე უდიერად ეპყრობიან ქუჩებს, არხებს. ეს კულტურა სკოლიდან უნდა დაინერგოს, მე რომ სკოლაში ვსწავლობდი, მაშინ სპეციალურად იყო დრო გამოყოფილი იმის შესასწავლად, როგორ მოვქცეულიყავით ქუჩაში, როგორ არ დაგვენაგვიანებინა და დაგვებინძურებინა გარემო. ამაზე დღეს არავინ ზრუნავს. უცხოელი რომ ჩამოდის ჩვენთან, იმით გვაფასებს, რამდენად სუფთა გარემო გვაქვს ჩვენ".

თენგო ცაგურია, გამგებლის წარმომადგენელი ქალაქ სამტრედიაში: "ძალიან მიხარია, ძალიან კმაყოფილნი ვარ, რომ მსგავსი აქციები რამდენიმე წელია ტარდება. ჩვენს სამსახურს ფარნავაზის ქუჩის დასუფთავება მოუწია".

კობა ძიძიგური, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: "მიმაჩნია, რომ მსგავსი აქციები აუცილებელია. ყველა მოქალაქემ უნდა გავითავისოთ, რომ ეს ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი ქალაქია, მცირედი წვლილი გაიღოს მისთვის. ვერ ვიტყვით, რომ რაღაც სასწაული გავაკეთეთ და არიქა, უკვე ბრწყინავს და ელვარებს სისუფთავით ჩვენი ქალაქი, მაგრამ ვფიქრობ, მოვინდომეთ, ერთი კუთხე მაინც დაგველაგებინა და დაგვესუფთავებინა. თუ მსგავსი განწყობა მართლაც ექნება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, ჩვენს ქვეყანაზე უფრო ლამაზი და კოხტა არ იქნება მთელს მსოფლიოში. ჩვენ, საკრებულოს წევრებმა ფუნქციები გავინაწილეთ: სოფლის წარმომადგენლები თავიანთი სოფლებში არიან გარემოს დასასუფთავებლად, საკრებულოს ზოგიერთი წევრიც შვებულებაშია. შევეცადეთ, ჩვენი ქალაქის დასუფთავების აქციას შევერთებოდით"

თვალსაზრისი

გასათვალისწინებელია...

ლევან გაბეჩავა

***

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი...
რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! _
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!
პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ, _
იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად _
ღალატიაო
მაგგვარი
ფიქრი.

ეზრან მაჭავარიანი

ვინ იცის, რამდენჯერ რამდენი სახელი, ტიტული შეიცვალა სოფლის (ზოგადად) თავკაცმა საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლილებასთან ერთად. წინა საუკუნეებს რომ თავი დავანებოთ, გასულ 20-25 წლის მანძილზე სოფლის თავკაცს ხან გამგებელი, ხანაც საკრებულოს თავმჯდომარე, რწმუნებული, ამჟამად კი მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი ჰქვია.

სახელმწიფო ქალაქებისა და მუნიციპალიტეტებისაგან, მუნიციპალიტეტები სოფლებისაგან, მათი მცხოვრებლებისაგან რომ შედგება, მეხუთეკლასელმაც კი იცის (ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდეს).

ამჟამად ყურადღებას იმ საკითხებზე შევაჩერებთ, ყველას, მათ შორის სოფლის თავკაცებსაც რომ აწუხებთ უთუოდ.

საქართველოში, ჩვენთან სამტრედიაშიც არის პატარა და არის დიდი სოფლები, სადაც, მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, პრობლემებიც შესაბამისად წარმოიქმნება ხოლმე.

უფულო კაცი მკვდარიაო, გაგონილი უთუოდ ყველას გვაქვს. მაგალითისათვის: რა ქნას კონკრეტული სოფლის თავკაცმა, თუ, ვთქვათ, ზამთარში, უხვმა თოვლმა ვეებერთელა ხე წააქცია, გზა ჩახერგა, მოსახლეობა მოსწყვიტა გარე სამყაროს? მას ფული სოფელს საკუთარი ბიუჯეტი არა აქვს, ვიდრე სოფლის რწმუნებული მუნიციპალიტეტის თავკაცებს დაუკავშირდება, ხალხი მუშტს თუ არ მოიღერებს რწმუნებულისაკენ, იმას ხომ აუცილებლად ეტყვის: თუ არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, რას ზიხარ მანდ, ხელფასს რისთვის ღებულობ? არ იქნებიან დამნაშავენი მაშინ ისინი.

არა ერთი და ორი მსგავსი მაგალითი გვინახავს ბოლო წლების მანძილზე. ასე რომ, ნებისმიერ სოფელს გარკვეული ფინანსები უნდა ჰქონდეს, რომლის მიზნობრივი განკარგვაც შესაბამისი სოფლის მმართველობით ორგანოს შეეძლება.

სხვათა შორის, ბატონ ვაჟა თვალავაძის წიგნს კიდევ ერთხელ გადავხედე ამ დღეებში და გასული საუკუნის კვირაძალზე (100-115 წლის წინ) სამტრედიის ბიუჯეტს რომ გადავავლე თვალი, ასეთი მუხლი ამოვიკითხე: მოულოდნელი ხარჯებისათვის ამდენი და ამდენი მანეთიო.

საუკუნის წინათ ხდებოდა თურმე მოულოდნელი ხარჯების გათვალისწინება საოცრად მწირ ბიუჯეტში.

არ ვხვდებით, თუ ვერ ვხვდებით, დღესაც რომ აუცილებელია სოფელს საკუთარი ბიუჯეტი ჰქონდეს?

?!

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მუნიციპალიტეტებს არჩეული გამგებლები ჰყავთ.

თუ კონკრეტული მუნიციპალიტეტის გამგებელს 60-70, გნებავთ, 50, ან 40 000 კაცის (მოსახლის) ბედს ვანდობთ, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას ლეგიტიმაცია, რომ მის აპარატთან ერთად განსაზღვროს მის მუნიციპალიტეტში არსებული უფუნქციო საწარმოს, ობიექტის რეაბილიტაციის ბედი? რიგი სხვა საკითხები ზემდგომ ორგანოებთან შეუთანხმებლად?

რას ნიშნავს ეს?

ცნობილი გერმანელი პოლიტიკოსის გენშერის სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიაა ეს თუ ცალყურა, ანუ არასრულფასოვანი დემოკრატია?

პრობლემის წინაშე მდგარ ადამიანს, რომელიც დაბის, სოფლის მკვიდრია პრობლემათა უსწრაფესი მოგვარება სურს შესაბამის მომენტში და არა საათობით, კვირაობით იმაში გარკვევა, რომ კონკრეტული საქმის მოგვარება გამგებლის, სოფლის რწმუნებულის შესაძლებლობებს აღემატება და ა. შ.

თვეზე ნაკლები დრო დარჩა საპარლამენტო არჩევნებამდე.

მისასალმებელი იქნება, თუ ახალ პარლამენტში ისეთ ადამიანებს ვიხილავთ, რომლებიც ღრმად იქნებიან ჩახედულები ხალხის ყოფაში, იციან სოფლის, ქალაქის სატკივარი, პრობლემები და სხვა საკითხებთან ერთად იმაზეც იზრუნებენ, რომ სოფლებს საკუთარი ბიუჯეტი, გამგებლებსა და მის წარმომადგენლებს დაბა-სოფლებში რეალურად ჰქონდეთ მეტი უფლებები, ვიდრე დღეს.

უფულო კაცი მკვდარიაო, არის ასეთი გამოთქმა.

უფულო, უბიუჯეტო წარმომადგენელი გამგებელისა კი, _ ხელშეკრული.

ჩვენ ასე ვფიქრობთ.

თქვენ?

"ალბათ, იქნება კონცეფცია, რომ ახალმა თაობამ მიიღოს ცოდნა"

ნათია ნაცვლიშვილი

ნინო ონიანი სამტრედიის მე-12 საჯარო სკოლის ქიმიის პედაგოგია.

დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ქიმიკოს-ტექნოლოგის სპეციალობით. როგორც თავად ამბობს, უნივერსიტეტი ისეთ ცუდ პერიოდში დაამთავრა, როცა საქართველოში არც ეკონომიკა არსებობდა, არც წარმოება. ასე აღმოჩნდა პედაგოგად მისივე სკოლაში. წლების მანძილზე იყო ამავე სკოლაში სასწავლო ნაწილი, დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში. ქალბატონ ნინოს წარმატებულ რეპეტიტორადაც იცნობენ მუნიციპალიტეტში. საკითხები, რომლებზეც მასთან ვისაუბრეთ, საჭირბოროტოა და ბოლო წლების თავდაუღწეველ პრობლემებად ქცეულან.

_ სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნათელა შავიძე მიცნობდა, როგორც მოსწავლეს, მენდო და დავიწყე იმ წელსვე მუშაობა. უკვე 20-წლიანი სტაჟი მაქვს. ვასწავლი ქიმიას, თუმცა, გავიარე ბუნებისმეტყველების კურსი და ჩავაბარე სერტიფიცირების გამოცდა, როგორც ქიმიაში, ისე ბუნებისმეტყველებაშიც. ასე იწყებს საუბარს ჩვენი რესპონდენტი.

_ ჩვენი, როგორც მშობლების თავის ტკივილი შემდეგია: თუკი მშობელს მაღალ კლასებში რეპეტიტორთან შვილის მომზადების მატერიალური სახსრები არ გააჩნია, ხომ არ დაჩაგრავს სახელმწიფო ასეთ ბავშვებს? ხომ არ გამოაქვთ მათთვის განაჩენი, რომ ისინი არ მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებელში?

_ ჩემი შვილი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია, სკოლაში რომ შევიყვანე, მახსოვს, მაშინ ვთქვი, ნუთუ, ისე არ დალაგდება ქვეყანა, რომ 11 წლის შემდეგ, მისი აბიტურიენტობის პერიოდში, თავად განსაზღვროს, რომელი პროფესიაც არის პერსპექტიული, სკოლამ ისეთი ცოდნა მისცეს, ეს პრობლემა არ შეექმნეს-მეთქი, მაგრამ მას შემდეგ, წლებია, რაც ვმუშაობ, ყოველ ახალ სასწავლო წელს გვაქვს მოლოდინი, გატარდება ისეთი რეფორმა, რომ ბავშვს კერძო მასწავლებელთან მომზადება არ დასჭირდება, ისეთ საფუძველს მისცემს სკოლა. ჯერჯერობით ასეთ რამეს ვერ ვხედავ. ძალიან სამწუხაროა, რომ მოლოდინი მიცრუვდება.

_ პედაგოგების მიმართ ერთგვარი უნდობლობის გრძნობა ჩნდება, რომ თითქოს ისინი სკოლაში არ ხარჯავენ ენერგიას მოსწავლეებისთვის და სახლში იბარებენ მოსწავლეთა ამ დიდ ამალას. თანაც ეს ხდება დროის იმ მონაკვეთში, როცა სკოლაში გაკვეთილები მიმდინარეობს და ბავშვები გაკვეთილზე უნდა იყვნენ.

_ 2012 წელს ახალი ხელისუფლება რომ მოვიდა, მქონდა იმედი, სასწავლო ლიტერატურა იმ ნორმის ფარგლებში მოექცეოდა, საიდანაც ბავშვი მიიღებდა სრულყოფილ ცოდნას, განათლებას და ეს სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის იქნებოდა საუკეთესო.

_ სახელმძღვანელოების არჩევანის უფლება ხომ გაქვთ?

_ გვაქვს არჩევანი უარესსა და ცუდს შორის. ჩემი აზრით, სახელმწიფო უნდა აძლევდეს და სთავაზობდეს მოსწავლეს ისეთ აკადემიურ სასწავლო ლიტერატურას, თუკი ბავშვი ერთი სკოლიდან მეორეში გადავა, სხვა ქალაქში, მას სხვა ავტორის ლიტერატურა არ უნდა ჰქონდეს მოსაძებნი. ჩემი მოსწავლეები, რომლებიც იგივე უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტზე აგრძელებენ სწავლას, მეუბნებიან: მასწავლებელო, ახალი არაფერია, იქიდან დაგვაწყებინეს, რაც აბიტურიენტობის პერიოდში ვისწავლეთო. უნივერსიტეტიც ვერ აძლევს სათანადოდ კარგ განათლებას, იმიტომ, რომ სკოლიდან მიდის ისეთი ცოდნით ბავშვი, საფუძველი არ აქვს, უნივერსიტეტმა კედლები დააშენოს მასზე.

_ თქვენი საგანი რამდენად მოთხოვნადია და რამდენად ირჩევენ მას აბიტურიენტები?

_ ამ ბოლო დროს გახდა მოთხოვნადი იმიტომ, რომ უფასო სწავლებაა და ამ მიმართულებით სახელმწიფო მათ შემდგომ ჰპირდება დასაქმებას.

_ თქვენი, როგორც რეპეტიტორის გადმოსახედიდან, რომელია პრესტიჟული და ყველაზე პოპულარული პროფესიები?

_ ყველაზე უფრო პოპულარული იყო სამართალმცოდნეობა და ბიზნესადმინისტრირება, თუმცა არ ვიცი, ამ სპეციალობის ამდენი ადამიანი არის კი დასაქმებული? ეკონომიკაც უნდა განვითარდეს და სახელმწიფომაც უნდა მისცეს ბავშვებს ისეთი საგნების ჩაბარების საშუალება, ნამდვილად რომ დასაქმდებიან. უამრავი განათლებული ახალი კადრი გვყავს, რომლებიც ვერ საქმდებიან. არაფერს ვამბობ ძველ კადრებზე. მოიმატა სამედიცინო ფაკულტეტზე ჩარიცხვის მსურველთა რიცხვმაც.

_ თქვენს მსგავსად მოქმედ პედაგოგთა და ამავდროულად რეპეტიტორთა განწყობა როგორია: რა ურჩევნიათ, ჰქონდეთ სკოლაში კარგი პედაგოგის ავტორიტეტი, თუ ატარებდნენ საუკეთესო რეპეტიტორის ტიტულს? ხომ არ აჯინებს ეს ორი ცნება ერთმანეთს?

_ კარგი შეკითხვაა, ვარ რეპეტიტორი, მყავს მოსწავლეები და საუკეთესო შედეგები მიიღეს ამ ბავშვებმა, მაგრამ ყოველთვის ვიცი ხოლმე მშობლებთან თქმა: თუ ბავშვს სკოლიდან არა აქვს საფუძველი, როგორი რეპეტიტორიც უნდა იყო, ვერ მიაღწევ კარგ შედეგს მასთან. ჩემთვის განსაკუთრებულად სასიამოვნოა, როცა კლასში გვყავს კარგი ჯგუფი, ნიჭიერი მოსწავლეებით დაკომპლექტებული, გაკვეთილს ატარებ და დრო ისე გაფრინდება, რომ ვერ გრძნობ... რა თქმა უნდა, ბევრად დიდ პატივს ვცემ ისეთ მასწავლებლებს, რომლებიც სკოლაში მუშაობენ, ჰყავთ არაჩვეულებრივი მოსწავლეები, აქვთ საუკეთესო შედეგი და მერე ეს ბავშვები რეპეტიტორთან რომ მივლენ, მთელი შესწავლილი მასალის თავმოყრაა საჭირო.

_ თქვენს სკოლაში ქიმიაში ოლიმპიადის გამარჯვებულები გყავთ?

_ ძალიან მცირე რიცხვია იმიტომ, რომ საბუნებისმეტყველო საგნები: ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია პოპულარული და დასაინტერესებელი გახდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ უფასო ფაკულტეტები დაუშვა. ჩავარდნა იყო ძალიან დიდი და ეს ჩავარდნა მოდის წინა წლებიდან, ის ავადსახსენებელი ტრიმესტრული სწავლება რომ შემოიღეს და ექსპერიმენტები ჩაატარეს. ბოლოს მასწავლებლებს დაგვაბრალეს, თითქოს ჩვენ ვერ ავუღეთ ამ სიახლეს ალღო, ბავშვებიც დაიჩაგრნენ.

_ რა ვუყოთ აქილევსის ქუსლად ქცეულ უნარების გამოცდას, საგანი სკოლაში არ ისწავლება, თუკი არ მოემზადა, შეძლებს ნიჭიერი ბავშვი მაღალი ქულების მოგროვებას ამ საგანში?

_ ძალიან მცირე იქნება ასეთი ბავშვების რაოდენობა, ასეთი აბიტურიენტთა 1 პროცენტი იქნება. ამ ერთ პროცენტზე ხომ არ გათვლის სახელმწიფო მომავალი თაობის განათლებას? რაც უნდა უჩვეულო მოგეჩვენოთ, ამ საგნის რეპეტიტორი ვარ, მყავს მოსწავლეები და დღემდე ვერ ვაანალიზებ, რატომაა ეს საგანი ინტელექტის განმსაზღვრელი. ამ საგანში რატომ უნდა იყოს უფრო მაღალი კოეფიციენტი. შეიძლება, ბავშვმა, რომელსაც აქვს ცოტა ყისმათი და იღბლიანია, იმდენივე ქულა აიღოს, რამდენიც ბავშვმა, რომელიც ძალიან ნიჭიერია და ლოგიკურ ამოცანებს რაღაც გასაღები ვერ მოარგო და ვერ ამოხსნა, მაგრამ გენიალურად, ბრწყინვალედ იცოდეს საგანი. დღემდე არ მიმაჩნია ეს საგანი იმის განმსაზღვრელად, რომ ბავშვი არის ცოდნით და ინტელექტით სავსე, მაგრამ რადგან ეს ასე სახელმწიფომ გადაწყვიტა, იქნებ მე იმ საბჭოთა სისტემის პროდუქტი ვარ და ეს კარგად ვერ გადავხარშე.

_ ის ხომ გადახარშეთ, ამ საგანში კარგად რომ მოამზადოთ თანამედროვე თაობა?

წაკითხულიდან გამომდინარე ბავშვი ტესტებზე კარგად უნდა პასუხობდეს. მათემატიკურ ნაწილში არის ისეთი საკითხები, რაზეც პასუხის გაცემა უნდა შეძლონ, მაგრამ ეს რატომ უნდა იყოს ინტელექტის განმსაზღვრელი? არ დამავიწყდება, თავის დროზე, როცა მინისტრი კახა ლომაია აკადემიკოსებს შეხვდა, მარიკა ლორთქიფანიძემ დაუსვა შეკითხვა, მე თუ ეს ვერ განვსაზღვრე ლოგიკურ ამოცანაში და ვერ მივხვდი, ცუდი ლექტორი ვარ? ცუდი მეცნიერი ვარ? კახა ლომაიამ უთხრა, თქვენ მაშინ ლოგიკურ ამოცანებში გჭირდებათ მეცადინეობაო. ეს საგანი არ უნდა იყოს აბიტურიენტისთვის ქულების განმსაზღვრელი. მაგრამ ეს დამოკიდებულება არაფერს ცვლის.

_ შეიძლება, თვითონ დირექტორები არა, მაგრამ მშობლები აჯგუფებენ სკოლებს ე. წ. ბრენდირებულ სკოლებად. თქვენი სკოლა შეიძლება არ ხმაურობს, მაგრამ ბევრ სხვა სკოლაზე უკეთესი შედეგების მქონეა. დავასახელოთ წლეულს რამდენი კურსდამთავრებული მოეწყო?

_ არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, ყველა ჩემს კოლეგას უდიდეს პატივს ვცემ, რადგან ვიცი, მასწავლებელი რა ენერგიას ხარჯავს კლასში, ბავშვებთან მუშაობისას. ძალიან ცუდად გამომდის ამის თქმა, მაგრამ ის სხვა სკოლების წარმატებული ბავშვები დადიან იმავე სკოლის პედაგოგებთან დამატებით სამეცადინოდ? ვინ მუშაობს მათთან, როგორც რეპეტიტორი? ვინ ეხმარება მათ, მიაღწიონ საუკეთესო შედეგებს? თუმცა სკოლის საფუძველი, კიდევ ვიმეორებ, ბევრს ნიშნავს. ერთ წელიწადში ვერც ერთი რეპეტიტორი ვერ მიაღწევს მაქსიმუმს.

_ ცუდ ტონად ეთვლება მოსწავლეს მისი სკოლის პედაგოგის გარდა სხვა პედაგოგთან მომზადება... თქვენს მოსწავლეებს ამზადებთ?

_ დიახ, ჩემი სკოლის მოსწავლეებსაც ვამეცადინებ. აი, დაუკვირდით, რა ხდება: ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია მეთორმეტე კლასში არის 1 საათით წარმოდგენილი, ისიც, აბიტურის საათებით. 1 საათი რაც უნდა ბრწყინვალე მოსწავლე იყოს, ეყოფა ბავშვს, რომ წარმატებით ჩაბაროს საგანი?

_ თანაც მეთორმეტეკლასელები არ დადიან სკოლაში...

_ თუ სისტემატურად არ იმეცადინა, მას კვირაში ერთი საათი არ ეყოფა, გამორიცხულია, წარმატებებს მიაღწიოს. ეს ფაქტორი მშობელს უბიძგებს ბავშვი მიიყვანოს რეპეტიტორთან.

_ მეთორმეტეკლასელები როგორ შემოვიტყუოთ სკოლის სივრცეში?

თუ არ შეიცვალა საგაკვეთილო ცხრილი, შეფასების სისტემა, ვერაფერს გეტყვით. სახელმწიფომ, სამინისტრომ უნდა იფიქროს ამაზე, მე-12 კლასში მხოლოდ 4 საგანი არ უნდა იყოს შეფასებით განსაზღვრული და დანარჩენი საგნები არ ფასდებოდეს. ის საგანი, რაც არ ფასდება და რაშიც ბავშვს ნიშანი არ აქვს, არც ბავშვს სჭირდება და არც მისთვის არაფრის მომცემია კვირაში ერთი საათი. ჩვენმა კურსდამთავრებულმა ქეთი ბანძავამ სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარა 100-პროცენტიანი გრანტით, გვყავს 70-იანი, ორი კი 50-პროცენტიანი გრანტის მფლობელი კურსდამთავრებული.

_ რამდენწლიან გეგმაზე გათვლიდით საგანმანათლებლო სისტემის ისეთ დალაგებას, მოწესრიგებას, რომ აღარ დასჭირდეთ ბავშვებს ამდენი რეპეტიტორი? პრობლემა ისიც ხომ არ არის, რომ ნაადრევად, დაბალი კლასებიდანვე გზავნიან მშობლები შვილებს რეპეტიტორებთან? ჯერ დედები ხომ არ უნდა მოვამზადოთ?

_ აბსოლუტურად გეთანხმებით, როცა კრებაზე მშობლებს ვხვდები, ხშირად ბავშვი ანიშნებს დედას, ზედმეტად არ იაქტიუროს, ნამდვილად, მშობელთა დიდი უმრავლესობა არის ჩამოსაყალიბებელი და იცით რატომ? დაწყებით კლასებში როცა ბავშვი ანბანს სწავლობს, დედამ რატომ უნდა თქვას, ვაიმე, სად მაქვს მაგის ნერვებიო? როგორ, დედას იმის ნებისყოფა არა აქვს, მასწავლებლის მიერ ამოწერილი ასო-ბგერა სახლში დამარცვლით წაიკითხოს? და ამისთვის მოჰყავს პირველკლასელი მასწავლებელთან. მერე უკვე იქცა ტენდენციად, თუ ოჯახი ბავშვს პირველივე კლასიდან მასწავლებელთან ამზადებს, ის ძლიერი ოჯახია და ბავშვიც წარმატებულია. ეს ასე არ მიმაჩნია. ჩემი მოსწავლეებისაგან ყოველთვის მოვითხოვ ცოდნასა და ზოგად განათლებას. დამისვამს კითხვა, რა წაიკითხე ამ ბოლო დროს? მომხდარა ხშირად ისე, რომ ერთი გაკვეთილი სულაც არ დამითმია ქიმიისათვის და გვისაუბრია ლიტერატურაზე, ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციაზე. სულ ვეუბნები გოგონებს, თქვენ დედები უნდა გახდეთ, აუცილებელი არ არის მათემატიკა იცოდეთ ბრწყინვალედ, მაგრამ ელემენტარული განტოლების ამოხსნა უნდა შეძლოთ. როცა შვილი დაგისვამთ შეკითხვას, ეს ვერ გავიგეო, დედამ უნდა შესძლოს 7-8 კლასის ჩათვლით შვილს დაეხმაროს. დედას იმიტომ ვამბობ, რომ ქალების უმრავლესობა უმუშევარია. უნდა ჰქონდეთ მათ განათლება.

_ ბოლო დროის სტატისტიკის თანახმად, ძალიან ბევრმა პედაგოგმა ვერ ჩააბარა სასერტიფიკაციო გამოცდა. თქვენ რა კომენტარს გაკეთებთ?

_ ნამდვილად სამწუხაროა, მაგრამ თუ სურათს გადავხედავთ, პედაგოგთა დიდი უმრავლესობა სერტიფიცირებულია. დარეგისტრირებული პედაგოგებიდან მხოლოდ ნაწილი გამოცხადდა გამოცდაზე და იმ გამოცხადებულთა რაღაც ნაწილმა გადალახა. ანუ, ეს ჩაჭრილი პედაგოგები მთელ მასაში მცირეა, მაგრამ ძალიან ცუდად ჩანს იმიტომ, რომ მეტი დარეგისტრირდა და მცირე ნაწილი გამოცხადდა. მასწავლებელთა საგნობრივი გამოცდების წინააღმდეგი არასოდეს ვყოფილვარ. ახლაც მიმაჩნია, მასწავლებელმა უნდა შეძლოს ბარიერის გადალახვა. თუმცა, როგორც ამ საკითხში კარგად ჩახედული, ვიტყვი, რომ მათემატიკის ნაწილში მათი საგნობრივი მასალა მოიცავს მე-7 მე-8 კლასის მათემატიკას, რაც მათ არაფერში სჭირდებათ. დაწყებითის პედაგოგებისათვის მოთხოვნა შესაცვლელია. ვიცი, ძალიან კარგი და წარმატებული პედაგოგები, რომლებსაც გაუჭირდათ ასეთი საკითხების ჩაბარება...

_ ქიმია რთული საგანია, ახსენეთ, რომ აძლევთ თავს უფლებას, რაღაც დოზით ამ საგაკვეთილო სივრცეში "შემოტყორცნოთ ეს ლირიული მოტივები". სულ არ ვაკნინებ იმ ტექნოკრატი პედაგოგების შრომას, რომლებიც მტკიცედ მოჰყვებიან თავიანთ "მძიმე არტილერიას", არიან თავიანთი საგნის ბრენდი პედაგოგები, მაგრამ არც პოეზია მოსწონთ, არც ხელოვნება. თქვენ რამდენად გიყვართ მწერლობა, ლიტერატურა, ხელოვნება?

_ უფროსკლასელებთან მისაუბრია რომელიმე მწერალზე, არდადეგების შემდეგ მიყვარს შეკითხვის დასმა: რა წაიკითხეთ, ძალიან მსიამოვნებს ნაკითხ თაობასთან ურთიერთობა. რაც არ უნდა დაღლილი ვიყო, არ შემიძლია რამე არ წავიკითხო, მაგალითად, ჟურნალ "ისტორიანის" აქტიური მკითხველი ვარ, მიყვარს პოეზიაც, გალაკტიონი ქართველს არ უყვარდეს, გამორიცხულია, ძალიან მიყვარს შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, გიორგი ლეონიძე, გააჩნია, რა განწყობაზე ხარ, სწორედ ის სტროფი ამოვარდება გონებაში. მიყვარს ნოდარ დუმბაძე, თანამედროვე მწერლებიდან დიდ პატივს ვცემ ოთარ ჭილაძეს და ჯემალ ქარჩხაძეს, ჭაბუა ამირეჯიბის "დათა თუთაშხია" საოცრად მიყვარს, მისი გავლენით წავიკითხე "გორა მბორგალი", მიყვარს კონსტანტინე გამსახურდია.

_ გადიან წლები, იცვლებიან მინისტრები, ტარდება რეფორმები, როგორ ფიქრობთ, როდის იქნება ამ სფეროში სასიკეთო ძვრები? ქართული რეალობა იცვლება, ევროპეიზაცია მეტი მასშტაბით იკიდებს ფეხს...

_ ევროპეიზაცია არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ყველაფერში სხვას დავეთანხმოთ. ჩვენი ქართული მენტალიტეტი ცნობიერება, გენეტიკური კოდი ვერასოდეს ვერ გახდება ისეთი, როგორც ზოგიერთი გვასწავლის, მე ვლაპარაკობ უმრავლესობაზე და არა იმ თითოეულ არასამთავრობო ორგანიზაციაზე, რომლებიც გვასწავლიან, როგორი ცნობიერებისა ვიყოთ. არ ექნება ქართველს ისეთი მენტალიტეტი, როგორიც აქვს ჰოლანდიელს ან ფრანგს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ცხოვრების დონით, განათლებით, ტექნოლოგიების განვითარებით ევროპულ ქვეყნებს ჩამოვრჩეთ.

_ ქართველი მეცნიერი გია დვალი ცერნის ბირთვული კვლევების საერთაშორისო ლაბორატორიაში მოღვაწეობს...

_ დიახ, ქართველმა ალექსანდრე ქართველიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკის ავიაციის განვითარების საქმეში. ქართველებში არის დიდი შესაძლებლობა და გვჭირდება განათლების სრულყოფა. ახალი მინისტრი ამბობს, რომ იქნება ორიენტირებული ცოდნაზე და ალბათ იქნება ის კონცეფცია წარმოდგენილი, რომ ახალმა თაობამ მიიღოს ცოდნა.

2016–2017 სასწავლო წელი დაიწყო

ნინო ნანიტაშვილი

მართალია, წვიმა იყო გამოცხადებული, მაგრამ, თითქოს, ბუნებამაც გაუწია ანგარიში, 15 სექტემბერს ღია ცის ქვეშ ზეიმი ქალაქის სკოლებს ატმოსფერული ნალექის გარეშე ჩაატარებინა. სხვა შემთხვევაში სადღესასწაულოდ განწყობილი მოსწავლეებისთვის საკონცერტო ნომრები ნამდვილად დაჰკარგავდა ეშხს.

მესამე საჯარო სკოლის ღონისძიების წამყვანებმა ეზოში შეკრებილების ყურადღება ეროვნული დროშისაკენ მიმართეს, რომელიც ტრადიციულად, პირველი და მეთორმეტე კლასების მოსწავლეებმა, სოსო ჩაჩუამ და სალომე ქარჩილაძემ აღმართეს.

სასწავლო წლის პირველ დღეს ცეკვისა და სიმღერის ფონზე მე-3 საჯარო სკოლის დირექტორმა ვენერა ივანიშვილმა, განვლილი სასწავლო წლის საერთო მიღწევებსა და სკოლის კურსდამთავრებულების კონკრეტულ წარმატებებზე ამაყად ისაუბრა.

ისევე, როგორც ყველგან, ახალი სასწავლო წლის დილის გათენება მესამე საჯარო სკოლელებსაც მონატრებული თანაკლასელების შეხვედრის სურვილით უხაროდათ. მესამე საჯარო სკოლისთვის ერთი კარგი სიახლე სამედიცინო ოთახის გახსნაცაა. მაღალკვალიფიციური ექმი, ქეთევან ფანცულაია პროფესიული მოვალეობის შესრულებას მე-3 საჯარო სკოლაში 15 სექტემბრიდან შეუდგა.

მე-11 საჯარო სკოლაში მისულებს ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ზეიმი დამთავრებული დაგვიხვდა. საკლასო ოთახებში შესულ მოსწავლეებთან მასწავლებლები, ძირითადად, პირველი დღის შთაბეჭდილებების გაზიარებას ახდენდნენ. მეორე კლასის პედაგოგმა ირინა ჯანელიძემ თანაკლასელებს ახალი მოსწავლე, ნინო ბაბირი გააცნო.

მე-11 საჯარო სკოლის ახლად გახსნილი სპორტული მოედნის სიახლოვეს "სამტრედიის მაცნემ" ამავე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, საქართველოს ნაკრების წევრი, ზაურ ჯანელიძე დააფიქსირა.

15 სექტემბრის დღემ სამტრედიაში ხმაურით, მხიარულებით, მოზღვავებული ემოციებით, მაგრამ მშვიდობიანად ჩაიარა.

მე-11 საჯარო სკოლა სასწავლო წელს სიახლეებით შეხვდა

ნინო ნანიტაშვილი

15 სექტემბერს ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი საქართველოს ყველა საჯარო სკოლაში დაირეკა.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში სასწავლო დაწესებულებებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები ჩაატარა, რათა ახალ სასწავლო წელს სათანადოდ მომზადებულები შეხვედროდნენ და ახალგაზრდებისთვის მშობლიური სკოლა უფრო მიმზიდველი გაეხადათ.

მე-11 საჯარო სკოლის დირექტორი ლენა ხაჟალია "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში იმ სიახლეებზე საუბრობს, რომლითაც 2016-2017 სასწავლო წელს მე-11 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგ-მასწავლებლები და მოსწავლეები ხვდებიან.

"მე-11 საჯარო სკოლისთვის ერთ-ერთი უმთავრესი სპორტული მოედანია, რომელიც ჩვენს სასწავლო დაწესებულებაში სპორტის გაკვეთილს უფრო ეფექტურს გახდის, უმასპინძლებს ბევრ შეჯიბრს".

მონატრებულებმა ერთმანეთი სკოლაში ნახეს. მართალია, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე 3 დღე იყო დარჩენილი, მე-11 საჯარო სკოლის მეათე მეორე კლასის რამდენიმე მოსწავლემ კლასის დამრიგებლის, ხათუნა გაბედავას სახლებიდან გამოწვევა სიხარულით მიიღო.

ორმა მარიამმა, ქეთევანმა და ლევანმა იმ დღეს არც საკლასო ოთახების დალაგება ითაკილეს და არც სახელმძღვანელოების პირველი სართულიდან მესამე სართულზე ატანა.

ხათუნა გაბედავა, პედაგოგი: "ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები სიამოვნებით დამთანხმდნენ, სკოლის დაწყებამდე საკლასო ოთახების მოწესრიგებაში უფროსებს დაგვხმარებოდნენ. ჩამოგვივიდა სახელმძღვანელოები. მეორადი წიგნები საკმაოდ ნორმალურად გამოიყურება".

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უფასო სახელმძღვანელოებით საჯარო სკოლები წელსაც მოამარაგა. ნაწილი ახალი, ნაწილიც მეორადი მოხმარების წიგნები ყველა სკოლაში ადრიანად შეიტანეს. სახელმძღვანელოების ხარისხს მე-11 საჯარო სკოლაში არ უჩივიან.

სწავლა ქრისტიანული ჯილენდრით

ნინო ნანიტაშვილი

საჯარო სკოლებისგან განსხვავებით ახალი სასწავლო წელი ერთი დღით ადრე, წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში დაიწყო. გეგეშიძის ქუჩას 14 სექტემბრის დილით არნახული გამოცოცხლება დაეტყო.

მართლმადიდებლური სკოლა ქალაქის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ მოსწავლეებს 2004 წლიდან თავისკენ იკრებს. საშუალო განათლებასთან ერთად აქაური მოსწავლეები სულიერ, ქრისტიანულ ღირებულებებსაც იძენენ.

2016-2017 სასწავლო წელი სამტრედიაში მოქმედი ტაძრების წინამძღვრების მიერ გადახდილი პარაკლისით დაიწყო. ეზოში შეკრებილ მოსწავლეებს, მშობლებსა და პედაგოგებს ვრცელი სიტყვით მიმართა სკოლის პრორექტორმა, დეკანოზმა ვახტანგმა.

სკოლას ახალი სასწავლო წელი ტრადიციულად მიულოცა ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველმა, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა საბამ. სკოლის რექტორმა მისალმებისას ხაზი გაუსვა იმ სამ მიმართულებას, რომელიც მართლმადიდებლურმა სკოლამ ახალგაზრდების აღზრდის საქმეში უნდა ჩადოს. ესენია: რწმენა, განათლება და შრომისმოყვარეობა.

წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლურ სკოლაში პირველი კლასის მერხებს წელს 27 მოსწავლე მიუჯდა. ისინი საკლასო ოთახებამდე ხელჩაკიდებული თავად მეუფემ მიაცილა. 18 ბიჭი და 9 გოგო, მიტროპოლიტ საბას თხოვნით თითქმის ერთი საგაკვეთილო პროცესი, სკოლისათვის საგანგებოდ მომზადებულ ლექსებს კითხულობდა. კლასში ერთი-ორი მორცხვი და გულაჩვილებული ბიჭუნაც აღმოჩნდა.

საზეიმო ცერემონიალის ბოლოს სკოლის დირექტორმა, ნატალია კოპალეიშვილმა კიდევ ერთხელ მიულოცა მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეებს ახალი სასწავლო წელი და რექტორთან, მეუფე საბასთან ერთად ქების სიგელები წარმატებულ მოსწავლეებს საზეიმო ვითარებაში გადასცა.

სოლის მერხს ერთადერთი პირველკლასელი მიუჯდა

ნათია ნაცვლიშვილი

სითეთრე და სილამაზე თვალში საცემია. პატარების ჟრიამული დაუბრუნდა სკოლებს. სოფელ ნიგორზღვის სკოლა 9 წლიანია, ამ სკოლაშიც ახალგაზრდული ენერგია ხმიანობს, სიცელქესთან შეჩავებული ნიჭიერება მძლავრობს პატარა გოგო-ბიჭებში, ხვალის საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად რომ უნდა მოევლინონ. მერე რა, რომ რაც ამ სკოლის მთელი კონტინგენტია, სხვა სკოლის ზოგ მასწავლებელს ერთ კლასში უზის. მოსწავლეებმა შესაშური ნიჭიერება გამოავლინეს, ლექსებით მიულოცეს ერთმანეთის სასწავლო წლის განახლება, ჰიმნის ფონზე ეროვნული დროშაც აღმართეს და პატრიოტული მუხტით კიდევ უფრო აღიგსნენ.

გასულ წელს ორი პირველი კლასელი მიიღო სკოლამ, წლეულს კი ერთადერთი, პირველკლასელი, ნინო წეროძე მიუჯდა სკოლის მერხს. ნიგორზღვა _ სოფელია დასავლეთ საქართველოში. ისევე როგორც სხვა მაღალმთიანი სოფლები, ნიგორზღვაც მიგრაციას განიცდის, რაც თავისთავად წარმოშობს მოსწავლეთა ნაკლებობას სკოლაში. სკოლა კეთილმოწყობილია, გასულ წელს შეცვალა ძველი კარ-ფანჯარა და მის ნაცვლად ახალი მეტალო-პლასტმასის ჩაისვა, მოსწავლეებს ემსახურება ავტობუსი, რომელიც მათ სკოლამდე და გაკვეთილების შემდეგ კი, შინ მიყვანას უზრუნველყოფს, გასულ წელს მოხდა სოფლის გაზიფიცირება, ამ ბევრი სიკეთის მიუხედავად, სოფლის სკოლაში, რომელშიც წლების წინ ათეულობით მოსწავლე სწავლობდა, ამჟამად 19 მოსწავლე სწავლობს. ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებს და მშობლებს ტრადიციულად მიულოცა სკოლის დირექტორმა, გრიგოლ კოკაძემ წარმატებები უსურვა მათ და მიმართა, რომ წლევანდელ წელსაც ისეთივე მონდომება გამოეჩინათ, როგორსაც წინა წლებში იჩენდნენ. ამ სკოლას არაერთი წარჩინებული მოსწავლე გაუშვია.

მე-5 და მე-3 კლასის მოსწავლეებისა, ანი და მარი კოკაძეების მშობელი, ნონა ჩაჩუა, სიამაყით გვეუბნება, რომ მისმა შვილებმა "კინგსის" მათემატიკური ოლიმპიადის სამივე ტური წარმატებით გადალახეს, უახლოეს ხანში დიპლომებს ელოდებიან. "ქუთაისში ტურის მიმდინარეობის დროს მშობლები საუბრობდნენ, რომ თავიანთ შვილებს კერძო რეპეტიტორებთან ამზადებდნენ, ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა კი შესაშური ცოდნა ურეპეტიტოროდ, ამ სკოლის პედაგოგების მიერ გაწეული შრომის წყალობით გამოავლინეს და წარმატებას მიაღწიეს. ჩემმა გოგონამ ანიმ, პირველ ტურში 100-დან 99 ქულა აიღო, გაკვეველია, კარგია მეტი ბავშვი იყოს, მაგრამ რა ვქნათ, მიგრაციის პროცესები გრძელდება, თანდათან იცლება სოფლები, კარგი იქნება გამოსწორდეს ვითარება. რომ იყოს სოფელში კარგი პირობები, ეს პრობლემა არ იქნებოდა, ჩვენი სოფელი არ არის ცენტრიდან ძალიან დაშორებული, მაგრამ უტრანსპორტობაა პრობლემა. მოსახლეობა იძულებულია, საკუთარი ტრასპორტი ჰყავდეს. სკოლა ძალიან კარგია, შესანიშნავი ატმოსფეროა, მეტი რომ იყოს მოსწავლეთა რაოდენობა, უკეთესია, მაგრამ იმედს ვიქონიებ, კონტინგენტი მოიმატებს".

ბაგა-ბაღები პატარების ჟრიამულმა ისევ აახმიანა

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის 23-ივე ბაგა-ბაღში საალმზრდელო პროცესი განახლდა. ნორჩების ჟრუანტელი და მხიარულება დაეუფლა ბაგა-ბაღის ეზოს, სულ მალე მერხებს მიუსხდებიან პატარები, ვინ ცრემლებს ღვრის, დედის კალთას ეპოტინება, ვის ნაცნობი პედაგოგი იკრავს გულში. ცხოვრების კანონია: 6 წლიანები უკვე გააცილეს აღმზრდელებმა, ივსება ბაგა-ბაღი ახალ-ახალი ნაკადებით, მზრუნველობას, სიყვარულს, დედობრივთან მიახლოვებულ სითბოს არ აკლებენ ჩვენს შვილებს პედაგოგები. აკვალიანებენ, ასწავლიან და მერე ბუდიდან ააფრენენ... ამ კედლებში მიღებული ცოდნა კი ცხოვრების დიდ გზაზეც ახსოვთ აწ უკვე დიდებს, თბილად რომ ხვდებიან ბაღის აღმზრდელებს.

ლექსი უყვარს და ახლაც ლექსებით მიესალმა თავის 500-ივე აღსაზრდელს ბაღის გამგე, ნანა დუნდუა: "მას ენდე და კვლავ მიანდე შვილთა ბედი, დაილოცოს "დედაენის" შემოქმედი". ლექსით ენამზეობენ პატარებიც და პირობას დებენ, სამშობლოს ღირსეულ შვილებად რომ მოევლინებიან. მან ბაღში სტუმრად მისულ გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილს, განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს ნატალია მანჯგალაძეს, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელს, ხათუნა ახობაძეს და გაერთიანების სხვა წარმომადგენლებს მადლობა გადაუა ასევე მიესალმნენ შეკრებილთ.

"მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას იმისათვის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას აქვს უფასო კვება, სწავლება, პედაგოგები გადიან ტრენინგებს და თქვენი შვილები არიან მოტივირებულნი ჩვენს ბაგა-ბაღში". _ განაცხადა ნანა დუნდუამ.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი: "დღეს მნიშვნელოვანი დღეა, სასიამოვნოა ამდენი ლამაზი ბავშვის დანახვა, ვუსურვებ მშობლებო თქვენს შვილებს წარუხადა სტუმრობისათვის. ასევე ესაუბრა მშობლებს ბაგა-ბაღში დამკვიდრებული სიახლეების შესახებ. ერთ-ერთი ისაა, რომ შეიქმნა მოსამზადებელი ჯგუფი, რომელსაც პედაგოგი მარინა კაკაბაძე უხელმძღვანელებს. ქალბატონი მარინა და პედაგოგი გულო ბოხრმატებებს, არაჩვეულებრივი ინფრასტრუქტურა, შესანიშნავი გარემოა აქ, კვება, მოვლა, არაფერი დააკლდებათ მათ. შესანინშნავი პედაგოგები გადასცემენ ცოდნას, სწორედ ამ მერხზე ეზიარებიან ისინი სამშობლოს სიყვარულს, ქართულ ტრადიციებს, რაც ასე გვალამაზებს და გვამაღლებს ქართველებს. იმედი გქონდეთ, არაფერს გაუჭირვებენ თქვენს შვილებს, დიდ მოწონებას იმსახურებს ყოველთვის ეს ბაღი, არაჩვეულებრივი ღია გაკვეთილები ჩატარებულა აქ, დაუდექით გვერდით ბაღის დირექტორს ამ ბაღის წარმატებებისათვის".

"მოგესალმებით ჩვენო პატარებო, ლამაზებო, მშობლებო, პედაგოგებო, წარმატებებს გისურვებთ, უღრუბლო ზეცა გქონოდეთ და გაერთიანებულ, ძლიერ საქართველოში გეცხოვროთ". _ მიმართა შეკრებილთ ხათუნა ახობაძემ.

ეროვნული ჰიმნის ფონზე დროშაც აღიმართა და ყველა პატარამ საკუთარ ოთახს მიაშურა, სადაც სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, დანდობის, გატანის, ქვეყნის ღირსეულ შვილებად აღზრდის გაკვეთილები უნდა მიიღონ. წარმატებები!..

წარმატებული პროექტი

წარმატებით დასრულდა რეგიონული განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული სამუშაოები სამტრედიაში. კონკრეტულად, ქუთაისი-ხონი-სამტრედიის მაგისტრალიდან, ე. წ. "მოსკვიჩების მაღაზიიდან" მელაურის ადმინისტრაციული ერთეულის მიმართულებით სოფელ 1-ლ მიწაბოგირაზე არსებულ სტადიონამდე დაიგო 1550 გრძივი მეტრისა და 5 მეტრი სიგანის ასფალტბეტონის საფარიანი გზა. სამუშაოების სრულყოფილად დამთავრებისთვის დამატებით გამოიყო 209 ათასი ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამით გამოცხადდა ტენდერი, ქალაქის ტერიტორიაზე, ე. წ. ბაძგნარის უბანში რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდიდან, ეწრის ცენტრის მიმართულებით, ხონი-დიდი ჯიხაიში-იანეთის ავტომაგისტრალზე არსებული გზის მონაკვეთის შეკეთებისთვის. აქ დაიგება 4 ათას 770 მეტრი სიგრძის და 5 მეტრი სიგანის ასფალტბეტონის საფარიანი გზა.

ტენდერის დასრულების ვადაა 3 ოქტომბერი.

განახლებული გზის მონაკვეთი გააუმჯობესებს, როგორც ტრანსპორტის, ისე ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას. ასევე, შეამცირებს ქალაქამდე მისასვლელ მანძილს.

ქეთევან ჭელიძე

საქმიანი შეხვედრა

ალბათ, ყველასთვის არც არის ცნობილი, რომ სამშობლოსა და საკუთარ ქალაქზე უზომოდ შეყვარებული ადამიანების უდიდესი ენთუზიაზმით სამტრედიაში ფუნქციონირება აღადგინა მოსწავლე-ახალგაზრდობის შენობაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა. მას ხელმძღვანელობს ქალბატონი გულიკო ცინცაძე. მუზეუმს უკე სამი წლის ისტორია აქვს. იგი ბევრი საინტერესო

ღონისძიების წამომწყები და ინიციატორია. ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ცოტა ხნის წინ საინტერესო და საქმიანი შეხვედრა.

მუზეუმში ბუნების კუთხის მოწყობის თვალსაზრისით ხელმძღვანელობამ დახმარება სთხოვა ილიას უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტისა და საქართველოს ბოტანიკური ბაღის მეცნიერს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ქალბატონ ინეზა მაისაიას. მან თხოვნა ყურად იღო და მუზეუმს ესტუმრა. ქალბატონმა ინეზამ ჩამოიტანა ყველა იმ მცენარის ნიმუში, რომელიც ადრე მოჰყავდათ სამტრედიაში და დღეს გადაშენებულია. ესენია: ღომი, ფეტვი, ქვრიმა, პარკოსანი კულტურები: ბარდა, ცერცვი, ცულისპირა, ოსპი, ძაძა და მუხუდო, აგრეთვე, საზეთე ბოჭკოვანი სელი, მათ შორის ხორბლის ექვსამდე ჯიში.

შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ სამტრედიის ქალაქისა და სოფლის საჯარო სკოლების ბიოლოგიის პედაგოგები, სამტრედიის დენდროლოგიური პარკის უფროსი სპეციალისტი ვალერი კახიანი, სოფლის საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომელი ბატონი ტარიელ ოჩხიკიძე, რაიაბრეშუმის ყოფილი დირექტორი ქალბატონი გოგოლა ნაცვლიშვილი.

შეხვედრის მიზანი იყო აღვადგინოთ მივიწყებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომლის შესახებაც ვრცლად ისაუბრა ქალბატონმა ინეზა მაისაიამ და შემდეგ მისივე ავტორობით გამოცემული წიგნი გადმოგვცა. ბოლოს მოეწყო ლევან ფრუიძის მიერ 2016 წელს გადაღებული ფილმის "შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული საუნჯე" _ ჩვენება.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე გამოიყოს მიწის ნაკვეთი და პარკის თანამშრომლების დახმარებით დაითესოს საჩუქრად ჩამოტანილი თესლები. შეხვედრაზე მყოფმა პედაგოგებმა გულიკო ონიანმა და ნაზიბროლა ადეიშვილმა გამოთქვეს აზრი, რომ თესლის ნაწილი გადაეცეთ მათ სასკოლო ნაკვეთებზე დასათესად.

კარგი იქნება, თუკი სკოლების ბიოლოგიის პედაგოგები და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული პირები მუზეუმს ესტუმრებიან და გაეცნობიან იმ ლიტერატურას, რომელიც საჩუქრად გადაეცა მუზეუმს და მუზეუმის საკონფერენციო დარბაზში კოლექტიურად ნახავენ შთამბეჭდავ და სასიამოვნო ფილმს.

დალი ლაგბაშიძე

"სიღამო წელდება და კვდება ვარდები"

ნათია ნაცვლიშვილი

მახსოვს პირველივე სიტყვები, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტს "ახალი აღთქმის" გადმოცემისას რომ მითხარით: "სულ წარმატებები, ნათია". მერე თქვენი შთამბეჭდავი ლექციების ციკლი დაიწყო. ძალზე ცხადად ჩამრჩა გონებაში ყოველ დილით მე-ნ კორპუსის კიბეებზე ჩქარი ნაბიჯით ამსვლელი, იმპოზანტური ლექტორი, ამავდროულად ჩვენი დეკანი, პატივსაცემი პიროვნება, ნოდარ ტაბიძე. კაცი, რომელმაც შეძლო, ბუმბერაზი ბიძის ჩრდილში არ მომწყვდეულიყო, ტაბიძეთა გენის ამ ბრწყინვალე გამგრძელებლის, ნოდარ ტაბიძის მიერ აღზრდილ ჟურნალისტთა დიდი ნაკადი თანამედროვე ქართულ მედიას მძლავრ შენაკადად შეერთო. ყოფილმა სტუდენტებმა უამრავი სამძიმარი, გულისტკივილი, თბილი სიტყვა "დაპოსტეს" სოციალურ ქსელებში ამ დღეებში. ასეა, კაცი კვდება, მაგრამ კეთილნი საქმენი არ კვდებიან.

მისი თითოეული ლექცია ინტელექტის, ნიჭის, მახვილსიტყვაობის, არტისტიზმის, კაცთმოყვარეობის, იუმორის ნაზავი იყო. ორი გადაბმული ლექცია განსაკუთრებით გოგონებს ღლიდა, ბატონ ნოდარს სთხოვდნენ, მცირე ხნით შესვენებაზე გაშვებას. რასაკვრველია, მაესტრო მათ თანხმდებოდა. თავად არასოდეს გადიოდა გარეთ. და მახსოვს, ერთხელ უცებ მიუბრუნდა ჩვენი ჯგუფის ერთადერთ ვაჟს (ჩვენს კურსზე ნამდვილი მატრიარქატი იყო) და ჰკითხა: "როგორ გგონიათ, ჭაბუკო, რამდენი წუთი დასჭირდება ერთი ღერი სიგარეტის მოწევას?"

ბოლოს ჩვენი მაესტრო სამიოდე წლის წინ ჭყვიშში გალაკტიონობას ვნახე. მასთან აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი და პროფესორ-მასწავლებლები საუბრობდნენ. სტუმრების გარემოცვაში მყოფი ყოფილ სტუდენტს ინტერვიუზე დამთანხმდა. უამრავი საგულისხმო რამ მითხრა. აი, მაგალითად ის, რომ ჩვენ ოცდამეერთე საუკუნის ქართველები გალაკტიონს ჯერ მხოლოდ მუხლებამდე ვწვდებით, მისი გენია ჯერ კიდევ შეუცნობი და ამოუცნობია... ძალიან მინდოდა, მრავალი წლის შემდეგ ყოფილი ლექტორისთვის ჩემი სტუდენტობის რომელიმე ეპიზოდი შემეხსენებინა, უფრო საცნაური რომ გამეხადა მისადმი ჩემი სიყვარული და პატივისცემა. შევახსენე ექსკურსია ზედაზენზე. როგორ გაჩერა ღამით ავტობუსის მძღოლი ილია ჭავჭავაძის ძეგლთან და როგორ დავლიეთ ერთად ილიას სადღეგრძელო. გზად გამვლელებიც შემოგვიერთდნენ.

ასევე შევახსენე, როგორ "შემოგვიგორა" უამრავი საზამთრო ხალხით გაჭედილ ავტობუსში, ბარაქიანი ქართული შემოდგომა მძლავრობდა ზედაზენზე, შემოდგომის მთელი ძალმოსილება შევიგრძენით იმ ექსკურსიაზე, მოლზე გაშლილი სუფრის უბადლო თამადა მცირედ დასევდიანებული გვეჩვენა და მახსოვს, სადღეგრძელო გალაკტიონის სტროფებით დაამშვენა "მე მიღალატეს ძველმა რითმებმა, ძველ მეგობრებსაც ვამჩნევ მე ღალატს".

ახლაც შემოდგომაა, ბატონო ნოდარ, ქარვისფერ ფოთლებს აუვსია გალაკტიონის სახლ-მუზეუმის ეზო, ის ქოხი, თქვენებურად რომ მასპინძლობდით, ვიხსენებ, გალაკტიონის ქოხში, კერიასთან ახლოს გაშლილ პურ-მარილზე ყველა სტუმარს ეპატიჟებოდით... ჩაეშალა ქონგური ტაბიძეთა დიდ სასახლეს... თქვენთან გამოსამშვიდობებლად თქვენი საყვარელი ბიძის მარად თანმდევ სულს, მეფე-პოეტს დავესესხებით:

"ქარვათა მორევში დაეშვა ფარდები _

საღამო კანკალებს შიშით და რიდობით,

საღამო ნელდება და კვდება ვარდები...

მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით!.."

გილოცავთ!

27 სექტემბერს ქრისტიანული სამყარო ზეიმით აღნიშნავს ჯვართამაღლების დღესასწაულს. რა დასანანია, როცა ზოგიერთი მწიგნობარი არ აღიარებს და არ ცნობს ცხოველმყოფელი ჯვრის სიძლიერეს, რომელზეც უფალი იესო ქრისტე გააკრეს ჩვენი ცოდვებისათვის. ჯვარი, რომელიც მრავალ სასწაულს ახდენდა მას შემდეგ, როცა დედოფალმა, ელენემ მის სამყოფელს მიაკვლია. ჩვენი სახელოვანი მეფეები დავითი და თამარი უდიდეს პატივს მიაგებდნენ ცხოველმყოფელ ჯვარს, რომელიც წინ მიუძღოდა მათ არა ერთ ბრძოლაში და იცავდა მტრის შემოსევისას. მოწამეები ქეთევან დედოფალი და შუშანიკი თავიანთ წყლულებს ჯვარზე გაკრული უფლის სიმხნევით იამებდნენ. მართალ ილიასა და აკაკი წერეთელს არაერთხელ გამოუყენებიათ თავიანთ ნაწარმოებებში ჯვრისადმი უდიდესი პატივისცემა.

ჩემო საყვარელო სამტრედიელებო! ჩემი მოკრძალებული ლექსით მინდა მოგილოცოთ ჯვართამაღლების დღესასწაული და გისურვოთ, რომ უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი იყოს თქვენი ოჯახების, ჩვენი ქალაქის და სრულიად საქართველოს მფარველი.

ცოცხალი გახდა მთელი მოდგმისთვის

როცა დედოფალ ელენეს,
ღვთის სიყვარული ეწვია,
გული აევსო რწმენით და
უფლის ჯვარისკენ გასწია.
დაბრკოლებებით იმგზავრა,
თუმც სიხარულმა იმატა,
უფლის იმედით იარა
და ჯვრის სამყოფელს მიადგა.
სამი ჯვარიდან ერთ-ერთმა;
სიკვდილის ბჭენი შერისხა.
სასწაულების მხილველსა,
ხალხს სიხარული ეღირსა.
განდიდდა ჯვარი, იხსნა სოფელი,
ადამისაგან დაცემულისა,
ცოცხალი გახდა მთელი მოდგმისთვის,
ქრისტეს ზეცაში ამაღლებიდან.
გვფარავს და გვიცავს ჯვარი უფლისა,
უნდა გჯეროდეთ, კვლავაც დაგვიცავს,
ჯვართამაღლებას მრავალს დაგასწროთ,
დღესაც, კვლავაც და მრავალ წელიწადს!



ლალი ღამგაშვილი

27 სექტემბერს დაეცა სოხუმი

ლევან გაბეჩავა

"ერთი დღე არ მიცხოვრია, ცხოვრება ისე დავხარჯე, მოკვდები, თან ჩავიყოლებ ჯვრს ცხინვალსა და გაგრაზე".

ვანო ჩხეიძე

გუშინ იყო ყველაფერი თითქოს, არადა, 23 წელი სრულდება, რაც უაფხაზეთოდ თენდება და ბინდდება საქართველოში.

რუსეთი...

შოვინიზმი...

შოვინისტები...

მსხვერპლი, ცრემლი, სისხლი, ცხედრები, 300 000 დევნილი, ფუძეაყრილი ჩვენი სისხლი და ხორცი.

27 სექტემბერი, 1993 წელი...

ალმოკიდებული სოხუმი.

გადამწვარი ქუჩები.

შოკირებული ხალხი.

ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო ქართველები სამაჩაბლოში, ისევ რუსის მიერ ორგანიზებული უბედურების გამო, რომ აფხაზეთი გახდა დასაცავი ერთმორწმუნე, მეზობელი რუსეთისაგან.

საფლავში თრთოდნენ უეჭველად მეფე დავითი და პატარა კახი, გორგასალი... ბრძოლას ნაჩვევი ქართველი მამულიშვილები.

დაეცა სოხუმი, დავკარგეთ (დროებით) აფხაზეთი, თუმცა, თავი არ დაუზოგავთ ქართველ მამულიშვილებს, რომელთაც ყველაზე ძვირფასი _ სიცოცხლე მიიტანეს სამშობლოს სამსხვერპლოზე.

დაიღუპნენ, თუმცა გმირის შარავანდედი დაიდგეს თავზე.

ბევრი, ძალზე ბევრნი არიან ისინი, ერთი, თითქოს, ჩვეულებრივი, თუმცა მრავლისმთქმელი, საოცრად ტევადი ზედწოდებით დაივანეს მათ საქართველოს უახლეს ისტორიაში _ აფხაზეთის გმირები!

დიახ, გმირები იყვნენ ისინი გმირულად რომ დაიღუპნენ.

გმირები არიან ისინი, გმირულად რომ იბრძოლეს.

შეუძლებელია, აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრო და არაფერი თქვა აფხაზეთის მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარის ჟიული შარტავას გამბედაობაზე, სიმამაცეზე, თავგანწირვაზე, კაცზე სიცოცხლის ბოლო წუთებამდე რომ იდგა და ამაყად აღასრულებდა არა მარტო თანამდებობრივ, მამულიშვილურ, მოვალეობას. დიდბუნებოვნებით, სიმშვიდით ჩახედა მან თვალებში სიკვდილს.

მოჰკლეს ჟიული შარტავა.

საქართველოს გმირთა სავანეს კიდევ ერთი ქართველი ეროვნული გმირის სახელი შეემატა.

ვერაფერს ვიტყვით ახალს, განსაკუთრებულს, ართქმულს.

23 წელია, ყოველი ქართველი პატრიოტი მამულიშვილი ვსტირით დაკარგულ აფხაზეთს: გაგრას,

სოხუმს,

გუდაუთას...

ვწუხვართ დევნილთა მწარე ხვედრით.

უფალს ვავედრებთ აფხაზეთში დაღუპულთა ნათელ სულებს.

გვახსოვს აფხაზეთი,

გვახსოვს და გვჯერა, ოდესმე იზეიმებს სამართალი, აღდგება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა.

იქნებ სიმბოლურიც კია სოხუმი 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღეს რომ დაეცა.

უფალმა ინებოს ჩვენი ქვეყნის გამთლიანება!

გვახსოვდეს აფხაზეთი!

ნიკო ნიკოლაძე

მძიმე, თუმცა საამო.

მთელი ცხოვრება ზიდა საერო ჭაპანი მე-19 საუკუნის გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, პუბლიცისტმა და მოაზროვნემ, "ულმობელი საქმის კაცმა" ნიკო ნიკოლაძემ.

უფალმა მოუვლინა სნებაშეყრილ, ღრმა ძილში ჩაფლულ საქართველოს ილიასა და ნიკოს მსგავსი მოღვაწენი.

ბევრი რამ საერთო ჰქონდათ ამ ბუმბერაზ ადამიანებს, მიზანი კი ერთი _ სამშობლოს გაძლიერება, აყვავება, აღორძინება, ხალხის უკეთესი მერმისი.

ნახევარი საუკუნე ფხიზლად იდგა დიდი ნიკო ცხოვრების ფერხულში და არა ოდენ სიტყვითა და აზრით, პრაქტიკული საქმეებით უმტკიცებდა ქართველებსა და საქართველოს სიყვარულსა და თავდადებას.

ბევრს მოგზაურობდა, ეცნობოდა მაშინდელი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებებას, გადმოჰქონდა და საქართველოში ნერგავდა მათ.

ერთ საგაზეთო წერილში ყოვლად შეუძლებელია სრულიად აღნუსხო ერისკაცის საქმენი საგმირონი.

სარწყავი არხები, რკინიგზის ქსელის გაფართოვება, აგრარული საკითხები, ზრუნვა ახალგაზრდების სწავლა-განათლებაზე, საქართველოს ყოველი კუთხისათვის კონკრეტული დანიშნულების მიცემა, ბრძოლა და შრომა ერისა და ქვეყნისათვის ნიკო ნიკოლაძის მიზანი იყო.

ამ მიზანს ემსახურებოდა მუხლჩაუდებლად, დაუზარებლად.

"მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა... მე დამივლია მთელი ევროპა, ბევრ ჩინებულ ქვეყანაში ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველვან და ყოველთვის სადაც კი ვყოფილვარ ერთი სავანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა".

ნიკო ნიკოლაძე



ხშირად უმასპინძლია დიდ ერისკაცს დიდ ჯიხაიშში, მშობლიურ მამულში გამოჩენილი ქართველი მოღვაწეებისათვის, ხშირად დასთენებიათ და უმსჯელიათ საქვეყნო საქმეებზე, საერთო აზრი ჩამოუქნიათ და ბოლომდე კეთილად მიუყვანიათ ვინ იცის რამდენი კეთილი საქმე.

"კაცი სახელმწიფო"...

"კაცი მოღვაწე"...

"ულმობელი საქმის კაცი" ...

და კიდევ რა ზედწოდება არ უბოძა მადლიერმა საქართველომ ნიკოლაძეს.

არა მარტო ნიკო, მისი დიდი ოჯახის თითოეული წევრი განსაკუთრებული მოვლენა იყო ქვეყნისათვის.

მისმა შვილებმა უდიდესი როლი შეასრულეს ეროვნული მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარების საქმეში.

გულღიად მასპინძლობს დიდ ჯიხაიშში, ნიკოლაძეთა მამულში ერისკაცის სახლ-მუზეუმი მნახველთ და დამაშვრალი კაცის ნაღვაწისა და ნააზრევის, ნაკეთბ საქმეთა თანაზიარს ხდის.

ამ დღეებში 173 წელი სრულდება დიდი მოაზროვნის დაბადებიდან.

მარად ჩვენი თანამედროვეა დიდი ნიკო ნიკოლაძე.

ლევან გაბეჩავა

ასეთი ინტერვიუ გჭირდებოდათ თქვენ?

თუ მთამსვლელი, რატომაც არა გზამსვლელი, მით უმეტეს, რომ "მსვლელი" ბევრნაირი შეიძლება იყოს და კიდევ მით უმეტეს, როცა პირველი შენ ხარ და მიმდევრებიც გამოგიჩნდებიან...

"მე სულ გზაზე ვარ,
ცოდვით ვდინჯდები,
დავალ გლეხურად,
სითბო ქარივით მინდება,
რა ჯანდაბაა, რომ არავის აღარ
ვჭირდები,
რა სიგიჟეა, რომ არავინ აღარ
მჭირდება!

სანდრე იმიტომ, რომ "სიუ" და "ანდრე" პოეტის სახელია, "ლაზი" ლაზური ფესვებისთვის, წარმოშობისთვის, პელაზგი პელაზგების, აქილევსის გამო! ვისთვის გაუგებრად, ვისთვისაც გასაგებად, რადგან საუბარს სანდრე ლაზი პელაზგელთან ვიწყებთ! ამ მეტსახელის უკან იგი ლაშა ლეჟავაა, რომელიც იმისთვის, რომ ჩვეულებრივი ბავშვი არ იყო, სპეციალიზებულ სკოლაში სწავლობდა და განსხვავებული აზროვნებით გამოირჩეოდა, თვლის კიდეც, რომ ყველა ადამიანი ძნელადაღსაზრდელია.

იგი ჩემი ფეისბუქმეგობარია. ჩვენს ცნობიერებაში შემოჭრილი ვირტუალური სივრცის დამსახურებით, მასთან გაუთვითცნობიერებლად, უფრო სწორად, მისი "კედლიდან" დანახული მისივე უცნაური რეალობით დავინტერესდი.

პროფესია? "ავტოდიდაქტი ვარ! ეს ნიშნავს, რომ თავად ვიღებ განათლებას." სასულიერო აკადემიაში სწავლობდა. და მაინც:

_ "ღმერთთან კითხვები მაქვს, ხან მწამს იგი და ხან არა!"

_ **და ეს მაშინ, როცა უფალი ამბობს: "ნეტარ არიან ვინც არ გამომცადა მე..?"**

_ "მე მძულს გამოცდები, არავის არ ვცდი, მით უმეტეს, ღმერთს!" მე უბრალოდ ადამიანები მიყვარს, ადამიანები და არა ნათესავები!

_ **ნათესავები არა?**

_ ყოველ შემთხვევაში, არ მძულს ისინი, მაგრამ დოსტოევსკი ამბობს: "რაც უფრო ახლოს იცნობ ადამიანს, სიყვარული მით უფრო ქრება." როგორც ოთარ ჭილაძე იტყოდა, "მიყვარს ყოფნა უცნობებს შორის."

ოჯახის წევრები? ისინი ნათესავები არიან მისთვის, რადგან აქ ეთანხმება არისტოტელეს: "ნათესავები ნაწილია შენი ხორცის, მეგობრები ნაწილია შენი სულის!" მისთვის კი სულიერი მდგომარეობაა უფრო მთავარი!

... და დედა?! _ "დედა შემოქმედია, სისხლია! ან უნდა გიყვარდეს, ან არ უნდა გიყვარდეს დედა!

_ **!!! დიახ, ბევრი ძახითი... ან არ უნდა გიყვარდეს დედა?! ეს შესაძლებელია?**

_ შესაძლებელია, როცა დედას არ უყვარხარ! დიახ, შესაძლებელია! ჩვილს რომ ქალი მიატოვებს... უბრალოდ, მატარებელს გაატანს!

_ **მას მაინც უყვარს იგი ...**

_ ეს, უბრალოდ, დედის ინსტიქტია, ქალური ლოგიკაა!

მამის ინსტიქტზე ნაკლებად საუბრობს, თვლის, რომ ცოლ-ქმრობა ქალის და მამაკაცის მეგობრობაა. თვლის, რომ ცოლი უნდა იყოს ქმრის უპირველესი მეგობარი. თავად, "მე საერთოდ არ მწამს ცოლქმრული ურთიერთობის, ეს ჩემთვის გაუგებარი ინსტიტუტია. იყო ერთი ანარქო-ფემინისტი ქალი, ემა გოლდმანი, რომელსაც ქორწინება ვაჭრულ ურთიერთობამდე დაჰყავდა. როცა მიყვარს, სულ არ აქვს მნიშვნელობა, აქვს თუ არა ბეჭედი ან სარეცხი მანქანა."

"მე ვარ ადამიანი, რომელიც სხვა ფორმით აღიქვამს სამყაროს." _ ჩვენც ამიტომ დავინტერესდით მისით, მისეული ათი მცნებით, მისი, როგორც თავად დაარქვა, პრეისტორიით.

უყვარს ოთარ ჭილაძე, საუბრობს დოსტოევსკის ფრაზებით, უყვარს გალაკტიონის რამდენიმე ლექსი, იცნობს კანტს, ბავშვობაში ამშვიდებდა ტერენტი გრანელი. ბარათაშვილი მისთვის უდიდესი მოაზროვნეა, ყველაზე ძლიერი ქართულ პოეზიაში, იმიტომ, რომ წერდა: "არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს..." თავად იმით ზრუნავს "სოფელზე", ანუ საწუთროზე, რომ "მიყვარს ადამიანები! ჩემი სამყარო სხვა დედამიწაა, სხვა ხალხი, სხვა ნათესაობა, სხვა მონატრება სხვა ფიქრები... ასეთი ინტერვიუ გჭირდებოდათ თქვენ?" საკუთარი პიროვნების ასახსნელად, ნობელიანტი მწერლის, იოსებ ბროკკის სიტყვები მოჰყავს: "ცოტა მიყვარდა, მაგრამ გულით მიყვარდა ისინი." მისი მეგობრებიც ისეთები არიან, როგორიც ის, მათაც უყვართ ხეტიალი. თუმცა, მისგან განსხვავებით საკუთარი ოჯახები აქვთ, ისეთი ოჯახები, როგორც სხვებს, როგორც ჩვეულებრივ არის ოჯახი.

"გზამსვლელის დღიურებს", რომელიც მისია, ყველაზე მისი, მისეულ შვიდგზის ლოცვასთან ერთად, აქვე შემოგთავაზებთ.

ეკა ბაბუნაშვილი

გზამსვლელის დღიურები

შენ მიტოვებული სახლი ხარ,
მე კი ამ სახლის
ერთგული მებაღე.
მე ვწმენდ ხავსს
შენი სხეულიდან
მე მუნჯი ვარ და მდუმარე.
ჩემი თვალები სველია შენი
გულით.
არ ვიცი, რა არის სიყვარული,
მაგრამ უბრალოდ მიყვარხარ.
შენ მიტოვებული სახლი ხარ,
მე კი შენი ერთგული მებაღე.

შვიდგზის ლოცვა

დილის ექვსს საათზე:

"იყავი კეთილი ადამიანების მიმართ, რადგან თითოეულ მათგანს თავისი წილი გაჭირვება თან დაჰყვება. ცხოვრების მეგზურად."

სოკრატე

ლოცვა ცხრა საათზე:

"ადამიანს ვეძებ, ნამდვილ ადამიანს, რომელსაც როგორც ჩემი მეზობელი იტყოდა, ზურგში ძვალი აქვს და სხვა თავის ჭკუაზე ვერ ათამაშებს."

ჰენდრი დევიდ თორო

ლოცვა თორთმეტ საათზე:

სარკმელთან ვზივარ.
შარიშურობს ვერხვი,
ვით ძველად.
ცოტა მიყვარდა, მაგრამ
გულით მიყვარდა ყველა."
იოსიფ ბროდსკი

ლოცვა სამ საათზე:

"მირჩევნია უბადრუკი ვიყო
და ყველაფერი ვიცოდე, ვიდრე ბედნიერი და
გაბრიყვებული."
თეოდორ დოსტოევსკი
ლოცვა საღამოს ექვს საათზე:
"აღარც რო კარგი მაღელვებს,
აღარცა ვჯავრობ ავზედა
ვაჟა-ფშაველა

ლოცვა საღამოს ცხრა საათზე:

ალბერტ კამიუს თუთიყუში
"სისულელეა, ყველაფერი სისულელეა."
ტარიელ ჭანტურია
"თქვენი ქართველობა იწყება ღირსებიდან და არა პირიქით."
მერაბ მამარდაშვილი

და ბოლოს ღამის თორმეტსაათიანი ლოცვა:

ამას უკვე მე ვწერ და ვლოცულობ
დაიძინეთ ადამიანებო, რა აზრი აქვს, მაინც მოვკვდებით
ყველა.
დაიძინეთ და ელოდეთ
დილის აბსურდულ დაწყებას.
იავნანა ნანინაო.

(ეკითვენ, ბნოლოდ ეკითხ)...

მიყვარს და ამადმსც, მმიტომაც
ვმალავ,
რამე თუ ...მისადმ.... მხიბლავს
არ ვფარავ...
ნაზი _ და სათნოა, იმშვენებს ...
კაბას ...
ვინაა ეს ქალი? _ ნუ მკითხავთ
ამას!
გვიყვარს _ თუ არგვიყვარს ორ-
სს _ ავ _ გვსჯის ღმერთი,
ორ _ მხარრ, ერთსსახედ, გვერ-
გუნა მკვდრეთით _
გვსჭირს _ რრა, ჭირთთ _ ამმ _
ცვლა, ჰშვუე _ჰბად _ არც _ ერთი
...
"წყალობა", წყალთამსც ცით,
"პური და ზეთი";
მმითაჰჟამმ ცოდვას "ვვღწით",
ზღვად გვექცა წვეთი.
...ღვთისკმნილ, მდედრი, _ ხატ-
ად, ოდენ ფიტული
აგრემსც მამრი, _ გრძნეულ, ერ-
თთურთკლიტული,
შეჰკრბბა ვნეჰბად შავივვარმი _
ტყვეობა...
... ცას ეწია კაცთთამ მხოლოდ
ზნეობა; ...
მათ იკითხონ, ჰყოფითს ვინც ვვ-
ერ ელევა

"სიზმარ _ ცხადი ჰშინგნ _ რომ
გამოელევა ...
ჭეშმარიტს ხომმ აზრი აგნებს წა-
მმიერ; ...
... ბრმმათ წრედ _ ვლაა, თუ _
რრამ _ ჰხდება ჟამიერ.
მიწის ფერია სხეული და სულ-
ის ფერია ცა,
ძალსზედ ძნელია სიკვდილი და
უგანაჩენოდ ცდა,
უკვდავქმნა მირაჟია და, უდაბუ-
რია გზა ...
მიწასაღმვგველი მიზეზი ნნიადა-
გმცაარს _ მმზა; ...
მიწის ფერია სხეული და სულ-
ის ფერია ცა,
ძალსზედ ძნელია სიკვდილი და
უგანაჩენოდ ცდა.

***

ნაშვუადღევსა _ ვარ ახლა, დღ-
ედ ერთსსა ვდგავარ ჟამსში.
მოკლეა ხანი ჩვენი ... ერთჯერ-
ად ... რიგითმ ცვლასში; ...
საუკუნისა აისს, გადაჭენებულს
წამმად _
... შუვადღესზედ, _ უკვე გვიან,
ვპირისპირდებით დავად; ...
...ნაშვუადღევსავარ ახლა, დაი-

სი მიხმობს ცასში ...
... ნამყოს გამმჭრალსსა _ ქარ-
ად, მყოფადი უდგას კვალში; ...
ლექსს ლანდავს სულთმღწვის
ალი _ და, "მმენნა ჰყივის მასში";
...
ვვარჰქმნად _ ... ერთჯერადს...
_ ჰყოვლსთაგანმ, "ქვესკნელი ჩემო-
ბს ვალში".
... ვზეიმობთ _ ოდენ სულით ...
ვვჩნდეთ მმარადიულ ცეცხლად
"მცირეთთავს" მმანიშნებელ, თუ-
მსც "ჩვეულებრთავმ" "ცერცვად"...
"საწუთრო ერთხელმსც ოდესმ",
ჰგარდივლის ოხრად _ ტრამად
არც _ რრამ _ იქნება ჰყოფითმ
_ და არც _ არარრაი რრამმად.
ვვითმ რაგვარ მმკვიდრობს კარ-
გი, _ თუ _ წილნაყარ _ არრ _
ცუდითმ?!?
ტანთმფეტიშ _ წელვა _ ფუყვ-
ით, მმანჭვად სულთთ _ ამმხირ მრ-
უდით;
თვალთმმაქცობანნი წარიტანს კა-
ცობრიობას ავვად,
ვვერც "თანამგზავრი" უშველის
_ და _ ვვერცმ "კიდობანი" ნავად.
...ქონებით "მომხვეჭელობამ" მმ-
არავალნმ ამურდლა სულით,

... ტლუდ ... სააქაოს მკვიდრობ-
ენ ათასმაგ ლანძღვა-კრულვით,
რომ ნაშვუადღევმსცა ჰხილვით
ვვნაღლობ, ამმაო ამაგს
რრადმსც ჰბოროტებას კეთილი
"ოქროდ" შუვალედობს "სამმაგს";
...
ღმერთმან დალახვროს ჰყოველი
ერთ _ და _ იმავე ... მმსცა _ ვვით
...
რრომ "დღითმსც ... სითეთრე ...
"ფიქრათამსც", _ სრულყოფილია შა-
ვით".
... ჰყოფითმსცა ... ჰსძიეთ იო-
ლი!?! _ რთული საც ჰფუძნობს კვ-
ალად .. _
ჰზზემ _ არჰქმნა _ ჭკვა _ მარ-
ტივი ... დიადი ... ჰკრძალვობს თვ-
ალად.
...არ _ არსებობს გონთმსვლა ხი-
ბლით, _ თვალთამ _ ჰყრობა
რრადგან ზზესთადმ, პირუკუ _
ვვარსნით ... ვვით _ ამმ _ მმხრობა
... _
ამმადმსაც ჰსჭირვობს სული, მო-
ღმა, ზღვრად _ სდგას მტრობა
... მიწათამ, ... ცა ... გვრიყავს,
რრადმე, _ ცრუ ამმქრობა.
დიდთთა მმირქმ უფალს, მზღვე-

ვად, _ მმკვალი მმისი... _
... ცხოვლად, პირშავს, _ თან _
ჰყვა ქვესკნელს ვვალად თვისსი ...
ცით _ ამმვ _ ანთებულნნი, _
ჰქრება არც _ რრა _ რრისი, _
საწუთროსჰშინ მმარე, სული, შე-
საბრალედმ, ერთ _ რრაობის გზი-
სი;
ზესკნელს იდუმალი, _ აქმმ _
მმეოხე თვალი, ცხადობს შესატყვი-
სი
... მზე, რამმე _ თუ ირგვლივ,
ცას _ ჰსზზე მმივა _ მოვვა, _
ჰჟამმად წამმის ჰწელვამ, ვვით
ამმვ "ზომა ჰპოვა"
ჰბრუნვა, _ წრეჰკვალ ჰსრბო-
ლა, _ კაცთთა სულთდამმცრომმა
... _
ცოდვა _ წვალოჰბა _ თთან, ჭი-
რთთგან, ღმრთისადმ წყრომმა
ძალსჰსზედმმ ჰგვშორავს ... ნნა-
თლსსა ... ჰკვირდეთ რრათა, _ რრ-
ომა
ცოცხლივ ერთურთს ჰსჭამა, _
ერთურთს ჰსჯიბრზედ "ძღომა"
"ჰკვდომამდჰბადოჰბამან" ... _
"ჰბადოჰბა _ და _ ჰკვდომა".
ვაგლახ

ანზორ ზანაბა

მაყვალა ჩირგაძე

ახალი ლექსები

ქალბატონი კუნელი

დავუამე ტკივილი
ჩემი სოფლის მოლოდინს,
ჩავეხუტე ყვირილაზე
გადაწოლილ ბონდის ხიდს.
ავუყევი აღმართში
მაყვლის ბუჩქის ხეივანს,
ტრიფოლიატის ღობესთან
ელიმება ღია კარს.
მშვიდად მიცქერს ნარცისი
თაფლისფერი თვალებით,
დაიღალა ვენახი
თმის კულულის წვალებით.
მზიან აკვანს კალთაში
ანანავებს ღრუბელი,
მუდამ ხასიათზეა
ქალბატონი კუნელი.

შენი ბარათი

დავშორდი და მოვფრინავდი,
წამეკიდა ხალისი,
ლამის კიდეც დავიჯერე
დეკემბერში მაისი.
ავხალისდი, ცეცხლის პირას
ეკალს გააქვს ტკაცანი,
გულისგულში ცრემლი სტკივა,
თვალებიდან ნაცარი.
ჩემს წვას არავინ ესწრება,
ნაკვერჩხალს ვყრი ფურცელზე,
გარეთ ზამთარს თოვლის პაპა
გამოუბამს უღელზე.
ღმერთო, მიეც ამ ახალ წელს,
გზასავალი წაღმართი,
შენს მაგიერ უბეს მითბობს
საახალწლო ბარათი.

***

შემოეხეტა საიდანღაც
სულში ნათელი,
შუაღამისას აკიაფდა
ჩემი სარკმელი.
გადაჭედილა მყერდი ცისა
ლურჯი მძივებით,
მიყვარხარ ახლა უფრო მეტად
და გაცილებით.

მამამთილი ჩემი

შიშველ ფეხებით იდგა საწნახელში
მამამთილი ჩემი,
საწნახლის კედლებზე ჩაბღუჯული
დაკუნთული ხელით,
სიმღერ-სიმღერით მოდიოდა
ნაჟური ყურძნის,
ივსებოდა ქვევრი,
მარანში ყვაოდა ლაღი შემოდგომა
სიყვარული ბევრი.

დედას

ვინც სიკეთე გამიკეთა,
ვინც რომ თბილად შემომხედა,
ყველას დედის სცხია მადლი,
არის ხელდასმული მაღლით.
ყველა კვალში, ყველა ნერგში,
ზეცასა და მზიანეთში,
ყველგან, ყველგან, ყველაფერში,
ჩემს გულსა და თქვენს გულებში
დედის სუნთქვა, დედის ხელი,
დედის ნაზი სურნელია,
თავჩარგული ია-ია,
დედასავით უთქმელია.
უდედობა ტკივილია,
ჩამომდნარი სანთელია,
ცოტა ვუთხარ სიყვარული,
ბევრი დამრჩა სათქმელია.

დეპრესია

დღეს, რატომღაც დღეს,
ძლიერ მეჯავრება თავი,
დღეს, რატომღაც დღეს,
ყველა მხდალია და ავი.
ვერა, ვერ ვპოვე ადგილი,
ზვავივით დამძიმდა ფიქრი,
სიმართლე ჯვარს ეცვა ფლიდთაგან,
ბარაბა ცისკენ მიჰქრის.
არავინ გამოჩნდა მშველელი,
რანი ვყოფილვართ, რანი!
დალაი! სისხლად იცლება
შავლეგოს ფრთა-მერანი.
დღეს, რატომღაც დღეს,
ძლიერ მეჯავრება თავი,
მამულო, სიცუდე მაპატიე,
სიცოცხლემ დამანება თავი.

ბედნიერება

ამოღაღანდა ღიმილი შენი,
როგორც ჯეჯილი გაზაფხულისა,
როგორც ვარსკვლავი ცის კამარაზე,
ამოცანათდი სიხარულისავ.
ბედნიერება ყველგან როდია,
ყველგან როდია ჯიხვი ქარაფზე,
ყელმოღერებით ამაღლებული
და გარინდული ველზე ქალთამზე.
ვიდრე შენშია მშვენიერება,
იბედნიერე რჩეულო იღბლის,
ყველას როდი აქვს მინიჭებული,
ცას მიახატოს ნახტომი ირმის.

***

სამებითაო არისო ღმერთი
ზღაპარშიც, ცხადშიც,
მრავალჯერ შევცდი.
ამოდი მზეო,
ჩამოთბი დღეო,
სამყურა ბალახს
რა უნდა მეტი.
მაკმარე ღმერთო,
ღმერთო მაკმარე,
აკი სამებით არისო ღმერთი.

***

ისევ ისა ხარ, მძივებად
და ზღაპრად მარცვალასხმული,
მოვდივარ, მომყავს ნანატრი
შენი უმწიკვლო ასული.
აქ ამ გზით ვეღარ გამოველ
ამავსო ეკალ-ნარითა,
ჩემი ბავშვობის ოცნება
მიდის, მიცურავს ნავითა.

შიშველ ხარღანებს აწვიმს

შინ სიღარიბე აცეცებს
საცრისოდენა თვალებს,
გახუნებული პიჯაკით
პაპა ძველ ჭიშკარს აღებს.
ქვეცნობიერად შესცქერის
რატომღაც წითელ მთვარეს,
სისხლის წვეთივით აჩნია
ტანზე კუნაპეტ ღამეს.
_ ეს რა ხანია, ე ბიჭი
ამხელა ოჯახს არჩენს _
გულრეჩხიანობს მოხუცი,
თან შეუკურთხა გამჩენს.
ბიჭი კი შარას ემძიმა,
ცა ჩაუმუქდა თვალებს.
_ ახია, ჩემზე! _ ამოთქვა,
გადაუქროლა ქარებს,
არადა, პაპას შეჰპირდა
ამოუყვანდა ხარებს,
ერთად მოხნავდნენ, ერთადვე
აამღერებდნენ ჭალებს,
არ მოვა ბიჭი ამაღამ,
არც ხვალე მოვა, იცის,
იცის პაპამ და რატომღაც
მაინც იცდის და იცდის.
ტყვია ზუზუნებს სივრცეში,
ურწმუნოება დაძრწის,
აუჩეხიათ ვენახი,
შიშველ ხარდანებს აწვიმს.

სურამში

საგიჟის ტყესთან, სურამში,
მაცხონაშვილის წყაროზე,
მოედინება სურაში
წყალი და წყალში მოსჩანს მზე.
ტყის ბინადართა ეს წყარო
არის ცხონება სულისა,
წყაროს თავს დედოფლის დარი,
ფეთქავს ტაძარი გულითა.
ეჰ, რამდენ ტკივილს ინახავს,
ციხე-სიმაგრე სურამის,
დარდიან ღამეს ანათებს,
ცრემლები დედის ზურაბის.

კვლავ ვეფვერები

მოხვედი, თოვლო?
აღარა ხარ სასურველი სტუმარი ჩემი,
გახსოვს? შენ გაგყვა
ხალებიანი ის თეთრი შველი...
და ნეტარებად დამრჩა ფიქრი
მხოლოდ იმ წლების,
სასაცილოა, მაგრამ იმ დროს
კვლავ ვეფვერები.
მოხვედი, თოვლო?
მოდი, დამთოვე, ასე ლამაზი და მაცდური
სიცივე შენი,
მოდი, დამთოვე!
ოღონდაც, კარგო, გადამირჩინე
და დამიბრუნე
ხალებიანი ის თეთრი შველი.

ვინ იცის

ორი საათია დამის,
რამ შეგაწუხა, ჩიტო?
იქნებ, თქმა გინდა რამის,
გეტირება და მიტომ.
მესმის ძალუმი ფეთქვა
შენი პაწაწა გულის,
იქნებ, მეც ჩიტი ვიყავ,
მსურდა ნამცეცი პურის.
აქვე ვხვდებოდი ზამთარს,
ამ გათოშილი ფრთებით,
ჩუმად ვიდექი კართან,
ზაფხულს ველოდი გზნებით.
ვინ იცის, ვინ იცის, ჩიტო,
რა ვიყავ, მოვალ რადა,
ან მე სად ვიყავ ნეტავ,
ან შენ სად იყავ სადა?

უნიღბოდ მოველ

მე ვემსგავსები მზისფერ დედოფალს,
ლექსთან ჯვარსა მწერს ღმერთი ჰიმენე,
სხვა არაფერი არ შემიძლია,
მე ხომ მოვკვდები, თუ არ ვიმღერე.
მოზიდული ვარ, ვითარცა მშვილდი,
მიწაზე დავქრი უბელო რაშით,
გადამიყოლებს ეგ სილამაზე,
დაიბუდებენ ყორნები თმაში.
უნიღბოდ მოველ, სიამით მთოველს
შავი ღრუბელი, გთხოვ, ამაშორე,
ამ ლურჯი ზეცის ჯადოსნურ სივრცეს,
ამ ყაყაჩოებს ნუ დამაშორებ.
მე ვემსგავსები მზისფერ დედოფალს...

თემურ ჩირგაძეს *და-ძმობა*

როცა არ გკითხავ,
მუდამ ხარ კარგად,
არასდროს გიჭირს,
სულ სხვა გყავს დარდად.
ეს შენ ხარ ჩემი
გულის დარაჯი,
გამოზომილი
ყველა ნაბიჯით,
მაგრამ ვინ იცის
შენს დაზე უკეთ,
რა სევდა ავსებს
შენს სულს და უბეს,
რომ ერთმანეთის
ეს გაფრთხილება
ერთი დღეს მოვა
და გაფრინდება.

შაოსანი დედა

ეზოს გადაივლის ორი მეგობარი,
ორი შაოსანი დედა,
მზე ცის კამარაზე ღრუბელს ეფარება,
გული მწუხარებით ღელავს.
ნეტავ, მოხდებოდეს რაღაც სასწაული,
ნატვრა ამიხდინოს ღმერთმა
და ეს შაოსანი, ორი ქალბატონი
ჭრელ კაბაში, ჭრელ კაბაში
დამანახოს ნეტავ!

ჭალარა ბავშვი

დილიდან ბინდამდე,
საკუთარ ბაღში
შრომობდა დიდი და
ჭაღარა ბავშვი.
გაფრინდა სიცოცხლე
ჭრიალებს ჭიშკარი,
მოწყენით შრიალებს
ეზოში ჩინარი,
აივანს წამწამზე
ჩამოსდის ცრემლები,
დაუკრეფავია
ეზოში ტყემლები,
ვერ ისვენებს და
წკმუტუნებს მურია,
იცის, იქ სულ ახლოს
მოხუცის გულია.

წყაროდ ყოფნა ვინატრე

მზე ამოდის, აფერადდა,
მთათა მუქი მანდილი,
ჩემს გულამდე გურიის მთებს
აღარა აქვს მანძილი.
ფერდობებზე დაეფინა
ცისმიერი სინათლე,
კორდზე წყარო მორაკრაკებს,
წყაროდ ყოფნა ვინატრე.
ხევში სუფსა აშრიალდა,
ლაღია და ამაყი,
პაემანზე ელოდება
წითელწინწკლა კალმახი.
აქ ბალახიც დაჰღიღინებს
მრავალხმიან კრიმანჭულს
და მამული ჰქვია მარად
გაუმხელელ სიყვარულს.

ოლეანდრები...

შენს ფანჯარასთან ისევ ჰყვავიან
თოვლივით თეთრი ოლეანდრები,
თავდავიწყებით აფეთქებული
მწარენარევი ტკბილი ზღაპრები.
ოლეანდრები, ოლეანდრები,
დაუვიწყარი ჩემი დარდები,
მზეო, ნუ ჩქარობ ცის ჩახუტებას,
მზეო, ნუ ჩახვალ, ნუ გაავდრდები.
გაფრენილ დღეებს ვუცქერ ღიმილით
და მაინც რად ხარ სიზმრებში ახლაც,
ფეხშველა დარბის ქარი ღიღინით,
და მზის ამოსვლის მინდება ნახვა.
ოლეანდრები, ოლეანდრები,
დაუვიწყარი ჩემი დარდები,
ოლეანდრები, ოლეანდრები,
მწარენარევი ტკბილი ზღაპრები.

მორიგი წარმატება

9-10 მაისს თბილისმა საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ჭიდაობა "სამბოში" უფროსი ასაკის მამაკაცებს შორის. იგი ლეგენდარული ქართველი სამბისტის, არჩილ ჩოხელის ხსოვნას (ევროპისა და ორგზის მსოფლიო ჩემპიონი) მიეძღვნა.

საქართველოს ნაკრებთან ერთად ტურნირზე 20 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. შეჯიბრი ჩატარდა მსოფლიოს სამბოს ფედერაციის ორგანიზებით.

90 კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრების ღირსებას ევროპის ორგზისა და მსოფლიოს ჩემპიონი ჭიდაობა "სამბოში" უშანგი მარგიანი იცავდა. მან ხუთი შეხვედრიდან ხუთივეში აშკარა უპირატესობით გაიმარჯვა და შესაბამისად გახდა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. ტურნირის ორგანიზატორთა მიერ იგი შესაბამისი პრიზებით დაჯილდოვდა. ჩემპიონის პატივსაცემად აჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

უშანგი მარგიანის პირადი მწვრთნელია, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ავთანდილ თარგამაძე, მწვრთნელები ბესარიონ შვანგირაძე და ბადრი შენგელია.

წარმატებებს ვულოცავთ უშანგი მარგიანს და მის მწვრთნელებს, საჭიდაო კლუბ "ფალავანს" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი). კვლავ მრავალჯერ გვეამაყოს სამტრედიელ სპორტსმენთა სახელოვანი წარმატებებით.

ლევან გაბეჩავა

საბავშვო ბიბლიოთეკისკენ მაღალმუხლი კეთილშობილური ნაბიჯი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში იმ დღეს თამაზ ჟორდანიას გამოჩენამ ცოტაოდენი გაკვირვება გამოიწვია. სასწავლო წლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე სამტრედიელი კოლორიტის სტუმრობა იმდენადაც იყო მოულოდნელი, რამდენადაც თამაზ ჟორდანიას, თავისი პროფესიიდან გამომდინარე, პირდაპირი შეხება არა აქვს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან. თუმცა აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ რომ კეთილი დამოკიდებულება გაჩნია, იმითაც გამოხატა, საკუთარი ბიბლიოთეკიდან წიგნები საჩუქრად გადაეცა, არჩევანი მან მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო ბიბლიოთეკაზე შეაჩერა.

თამაზ ჟორდანია მარტო არ მისულა, მას თან ორი შვილიშვილი ახლდა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საბავშვო ბიბლიოთეკას მან რამდენიმე ათეული წიგნი საჩუქრად გადასცა. დირექტორი, ტატა გოგუაძე აღნიშნულ ფაქტს სიხარულით შეხვდა, რადგან მწირი ბიუჯეტის გამო ვერ ხდება საბავშვო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამდიდრება.

ტატა გოგუაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი: "ბატონი თამაზის კეთილშობილურ ნაბიჯს, დარწმუნებული ვარ, ბევრი მიმდევარი გამოუჩნდება. ისეთები, რომლებიც ახალი ლიტერატურით შეეცდებიან, შეავსონ ჩვენს მუნიციპალიტეტში საბავშვო ბიბლიოთეკა. მთელი ჩემი კოლექტივის, საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებისა და მკითხველის სახელით მადლობა მინდა, გადავუხადო თამაზ ჟორდანიას პირადად და მის ოჯახს, შვილიშვილებს, რომლებსაც არ დაენანათ, თუნდაც, აკაკის და ილიას ტომეულების საჩუქრად გადმოცემა. მათ ოჯახებს ახლოს ვიცნობ, ვიცი, ამ ორი ბიჭუნას ინტელექტუალური დონე, წიგნი მათთვის ძალიან ძვირფასია და მით უმეტეს, ბაბუის ბიბლიოთეკიდან".

ასე გამოიყურება თამაზ ჟორდანიას მიერ საჩუქრად გადმოცემული ლიტერატურის ჩამონათვალი:

ი. ჭავჭავაძის თხზულებანი _ 8 ტომი;
ა. წერეთლის თხზულებანი _ 13 ტომი;
ვ. ბარნოვის თხზულებანი _ 10 ტომი;
ლ. სანიკიძის "უქარქაშო ხმლები";
ნ. დუმბაძის თხზულებანი _ 1 ტომი;
სერვანტესის "დონ კიხოტ ლამანჩელი" _ 1 ტომი;
გ. აბაშიძის თხზულებანი _ 1 ტომი.
რუსულ ენებზე:
ემილ ზოლას თხზულებანი _ 20 ტომი;
მ. ტვენი თხზულებანი _ 12 ტომი;
"ათას ერთი ღამე" _ 7 ტომი;
ლ. ტოლსტოი _ 13 ტომი.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი წარმოდგენილია 15 514 ეგზემპლარით, 13 272 ლარის ღირებულებით. ბიბლოთეკის წიგნადი ფონდი მოითხოვს ახალი წიგნებით შევსებას.

ნინო ანიტაშვილი

გამოგონებლებმა ვიტამინების შემცველი კარტოფილი გამოიყვანეს

კოლორადოს უნივერსიტეტის მეცნიერებმა საკვები ნივთიერებებითა და ვიტამინებით მდიდარი კარტოფილის ახალი ჯიში შექმნეს. კარტოფილი იისფერი ან წითელი შეფერილობისაა, რაც თვალნათლივ ასახავს სასარგებლო თვისებებს. მიღებული კარტოფილი მდიდარია არა მარტო ანტიოქსიდანტებით, არამედ ფოლის მჟავათი, C ვიტამინით, მიკროელემენტებით, კალიუმით, რკინით, თუთიითა და ფენოლის ნაერთებით.

მასში იმდენივე ანტიოქსიდანტია, რამდენიც მოცვსა და ბროწეულში. წითელი და იისფერი კარტოფილი თითქმის არ შეიცავს ისეთი ნივთიერებებს, რომლებიც ხარშვის ან შეწვის დროს კანცეროგენად გარდაიქმნება.

უნიკალური ბუნებრივი დამატკბობელი საკონდიტრო ნაჩმოებას გადაატრიალებს

ბრიტანელი მეცნიერების მტკიცებით, მათ მოძებნეს საშუალება, რომელიც საკონდიტრო ნაწარმს სასარგებლოდ აქცევს. საიდუმლო მწვანე წყალმცენარე Prasinoccus capsulatus-შია, რომელიც შაქრის მსგავს ნაერთს გამოიმუშავებს.

ნაერთი შეიძლება გადამუშავდეს თეთრ ფხვნილად, რისი დამატება შესაძლებელი იქნება საკვებ პროდუქტებში. მივიღებთ ტკბილ გემოს ზედმეტი კალორიების გარეშე, რადგანაც ნაერთი კუჭ-ნაწლავის ტრაქტში არ შეიწოვება. ახლა დამატკბობელს ამუშავებს კომპანია GlycoMar საკონდიტრო გიგანტ Mars-თან ერთად.

წყალმცენარე Prasinoccus capsulatus საკვები დამატკბობლის მოხერხებული წყაროა, რამდენადაც მათი გაზრდა შესაძლებელი იქნება ზღვის წყლით ავსებულ პლასტიკის დიდ პაკეტებში. ამასთან, წარმოება გარემოსთვის უვნებელი იქნება.

გახსენება

კობა ჩიხლაძე

ერთხელ, საქართველოში გერმანელ ცოლ-ქმარს ფული მოჰპარეს, საკუთარი ფული მისცა დაზარალებულებს, ვიპოვეთო, უთხრა, ქვეყნის იმიჯზე იზრუნა. პოლიციის უფროსად რომ დანიშნეს, ხმა გავრცელდა, ფულს არ იღებს, ალბათ, ბევრს დაიჭერსო. არც ფულს იღებდა და არც არავის იჭერდა დამნაშავის გარდა.

განათლებული, ინტელექტუალი იყო, ხშირად ნახავდით თეატრსა და კინოში, სპორტულ დარბაზებში თანამშრომლებთან ერთად.

30 წელი იმუშავა მაიორის ჩინით პოლიციის უფროსად და განსაკუთრებული არაფერი დარჩენია კაცური კაცის სახელის გარდა ბატონ კობა ჩიხლაძეს.

ასე ჰყვებიან მისი თანამედროვენი, მეგობრები, ისინი წლების მანძილზე რომ ახლობლობდნენ მასთან.

საზოგადოებრივად აქტიური, განათლებული, ობიექტური და მოწესრიგებული გახლდათ, საკუთარი ღირსეული ადგილის დამკვიდრება არ გასჭირვებია სამტრედიის მრავალრიცხოვან ინტელიგენციას შორის. _ გვითხრა ქალბატონმა ნათელა გელეიშვილმა, ქალბატონმა, რომლის ობიექტურობასა და სიტყვის ჭეშმარიტებაში ეჭვს ძნელად რომ ვინმე შეიტანს.

ამ დღეებში ბატონი კობას დაბადების დღე აღნიშნეს მისი ღირსეული ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა.

ნათელში იყოს!

ლევან გაბეჩავა

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

ანზორ გოგოლაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ელგუჯა, ჯონდი გაბეჩავები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონი

ანზორ გოგოლაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოება "სამტრედიელი" მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი პროფესიონალის, ღირსეული სამტრედიელის

ანზორ გოგოლაძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ანზორ გოგოლაძის ხსოვნას

60-იანი წლების ახალგაზრდების ერთ-ერთი საუკეთესო ლიდერი, ნიჭიერი, მაღალკვალიფიციური მშენებელი, კარგი ორგანიზატორი, საუკეთესო მეგობარი, გოგოლაძეთა გვარის ღირსეული ფუძის გამგრძელებელი, ერთგული მეუღლე, მამა, ბაბუა, ძმა და მეგობარი

ანზორ ვარლენის ძე გოგოლაძე

გამოაკლდა მშობლიურ სამტრედიას და სამტრედიელებს. გულწრფელად ვუსამძიმრებ ოჯახს ამ დიდ მწუხარებას 60-იანი წლების ჯერ კიდევ შემორჩენილი თაობის სახელით.

ნათელა გელეიშვილი

ვაჟა ტერელაძე ოჯახით თანაუგრძნობს გოგოლაძეების ოჯახს
ღირსეული თავკაცის, ჩვენი ოჯახის ერთგული მეგობრის

ანზორ გოგოლაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს ჭირისუფლებს.

ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძნობს გოგოლაძეების ოჯახს

ანზორ გოგოლაძის

გარდაცვალების გამო.

ვაჟა ტერელაძე ოჯახით თანაუგრძნობს მარინა, ფრიდონ და ირაკლი მაჭავარიანებს დედისა და ბებიის, კეთილშობილი ქალბატონის, ჩვენი უახლოესი მეზობლის

ფაცია კრავეიშვილი-ფახურიძის

გარდაცვალების გამო.

ვულოცავთ!

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველს, მიტროპოლიტ მეუფე საბას.

უდიდესი კრძალვითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს. უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია

პრემია "საბა"
არ ეძებს საბაბს,
ჯილდო გადასცეს,
ვინც რითმებს აბამს.
თუმც ალღო აცდენს
მკითხველს ხანდახან,
ხარანაული
ხარ ან არა ხარ!

ფერეხის ფესტივალი სამტრედიაში

"მონაწილეები სოციალური ნორმებისგან თავისუფლდებიან და ამ დღეს ყველა ერთად აღნიშნავს, განურჩევლად ფენისა, რელიგიური შეხედულებისა თუ სქესისა.
ისინი ერთმანეთს ფერად საღებავს აყრიან, შეღებილ წყალს ასხამენ". _ ეკითხულობთ უძველესი ინდური დღესასწაულის შესახებ.
"Holi", როგორც მას მსოფლიო უწოდებს, საქართველოშია.

16 სექტემბერს იგი საშემოდგომო ელფერს ამძაფრებდა სამტრედიაში.

"მეტი პოზიტივი" უმთავრესი მოწოდება გახლდათ.

წინგადადგმული ნაბიჯია, აწი უკეთესი იქნებაო, _ აღნიშნავდნენ გოგო-ბიჭები და თანამედროვე მუსიკალურ ჰანგებს აყოლილნი "აფერადებდნენ" გარემოს სიყვარულით, გულწრფელობით, დადებითი ემოციებით...

უჩვეულო სანახაობის მიუხედავად, არც უფროსი თაობა მიეფარა თვალს.

"ათასგვარ სიმრუდეს" ასე სჯობსო, ერთხმად აღიარა დიდ-პატარამ.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია:

"ფერების ფესტივალი ჩვენი ახალგაზრდების ორგანიზებით მოეწყო. მართალია, ნოვატორები არ ვართ, მაგრამ ვინაიდან ინტერესი სამტრედიელთაგანაც ვიგრძენით, არაფერი დავიშურეთ, ღონისძიება საუკეთესო ყოფილიყო.

ქალაქში უამრავ მხიარულ სახეს ვხედავთ. დაგეგმილი კონცერტი, რომელსაც მრავალი კონკურსის გამარჯვებული ფოლკ-ჯგუფი "ლადი" გახსნის, კიდევ უფრო აამაღლებს შეკრებილთა განწყობას.

სასიამოვნოა თქმა იმისა, რომ ჩვენ ამით მხოლოდ ვიწყებთ!"

ეროვნა პაპავა



ჩემს საყვარელ მკურნალ ექიმს, ქალბატონ რუსუდან წილოსანს!

გისურვებთ ჯანმრთელ, მხიარულ, ბედნიერ და ბრწყინვალე მომავალს, ახალ-ახალი წარმატებები არ მოგკლებოდეთ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ბედნიერება და სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

მე ვიგრძენი და დავინახე თქვენი პროფესიის ღრმა ცოდნა, განათლება, კულტურა, სათნოება, გულისხმიერება, პაციენტისადმი უანგარო და გულთბილი მოპყრობა.

გმადლობთ ყველაფრისათვის ჩემო ტკბილო, თბილო, მშვიდო, სათნო, გულისხმიერო, მოწესრიგებულო რუსუდან ექიმო!

თქვენ, თქვენი ნიჭიერი, გულთბილი, ჭკვიანი რჩევა-დარიგებებით დამიბრუნეთ ჯანმრთელობა და შრომის უნარი.

ძალიან, ძალიან მომწონხართ და მიყვარხართ, იხარეთ და იდღეგრძელეთ. უფლის წყალობა და კურთხევა ყოფილიყოს თქვენი წინამძღოლი, მანუგეშებელი, იმედი და საყრდენი მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე.

იხარეთ და იდღეგრძელეთ გულისხმიერო მკურნალო, საუკეთესო მეუღლევ, საოცარო დედავ და უსაყვარლესო ბებიავ!

თქვენი პაციენტი მეორე საგზარე სპილის კედაგოგი ნანი ნიშნიანიძე

რუსუდან მუქერიას!

დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენო ერთგულო მეგობარო, სიხარული და ბედნიერება ყოფილიყოს შენი ცხოვრების მეგზური, იდღეგრძელე შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

პატონ გიგანტი ბიბილეიშვილს!

შესანიშნავ მეგობარს, შრომის ვეტერანს გიგანტი ბიბილეიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს ვუსურვებთ ოჯახთან ერთად.

ვეტერანთა რაიონული კავშირი

ომარ ცაგარეიშვილს!

საიუბილეო თარიღს, 70 წლის შესრულებას ვულოცავთ ჩვენს მეგობარს. მრავალ დაბადების დღეს დასწრებოდეს, სიხარული, ჯანმრთელობა, ოჯახური და სამსახურებრივი კეთილდღეობა ყოფილიყოს მისი თანმდევი!

უახლოესი მეგობრები

მათე მშვიდობაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ მათე!

ბედნიერი წლები დაგებედოს სიხარულით, ჯანმრთელობით, წარმატებებით დახუნძლული. ლაღი ბავშვობა, სანატრელი ყმაწვილკაცობა და ტკბილი სიბერე დაგანათლოს უფალმა.

ძალიან გვიყვარხარ და ერთმანეთი მუდამ გვყვარებოდეს. ეამაყოთ ჩვენით მშობლებს და ქვეყანას.

მართა და ანდრია

ლანა თავაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. წარმატებები და სიხარული დაგებედოს ოჯახის, მეგობრების გასახარად. გაზაფხულივით ლამაზი წლები გაგელიოს ადრე შემოდგომაზე დაბადებულს. გჯეროდეს ჩვენი გულწრფელი სიყვარულის.

ანანე, სალიმე და ანანე

ლანა თავაძეს და ზაურ ჯანელიძეს!

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. გაიხარეთ, იდღეგრძელეთ, იმზეგრძელეთ! ბეჯითობით და შრომისმოყვარეობით მიღწეული წარმატებები დაგებედოთ.

თანაკლასელები

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა